


ლიტერატურული გაზეთი

№44 25 თებერვალი - 10 მარტი 2011

ბამოღის ორ კვირაში ერთხელ, პარასკეობით

ფასი 50 თეთრი



როსტომ ჩხეიძე

ოთარ ჭილაძის დღიურის ფურცლები II-III

ნინო ბუგუშაშვილი

ენაი კვიციანი VI-VII

ანდრო ბუაჩიძე

ლექსები IV-V

უსწავარი განცდა დაეუფლებოდა ოთარ ჭილაძეს 1992 წლის ერთ დღესაც — საკუთარ არსებაში მოინდომებდა ხევისბერი გოჩასა და ონისეს გამთლიანებას. ბევრი მისი განცდაც და ფიქრიც გაქრებოდა უკვალოდ, ბევრიც ისე დაიღვრებოდა სულში, სად და როგორ იჩენდა თავს, ვეღარც აღადგენდა მის პირველობას... მაგრამ, საბედნიეროდ, ხომ არსებობს ლიტერატურული ჩანაწერების უაღრესი, დღიურის უაღრესი, რომელიც ნაწილობრივ მაინც ინახავს განცდებსაც და ფიქრებსაც თავთავიანთი პირველდელი სახით.

ყოფითი დეტალებისა და სულიერი ბიოგრაფიის ეს უცნური, მომხიბლავი ნაზავი, რაც ამ უაღრესი შინაარსს შეადგენს, ყოველთვის განსაკუთრებით იყვრობდა მკითხველის ცნობისნადილს — აქ ხომ ისეთი მოსაზრებანი თუ ყოფითი რეალიზები ეგულვებოდათ, რასაც სხვაგან ვერსად ნახავდნენ.

მათთვის საყვარელი ხელოვანის სამყარო ერთბაშად ახალი კუთხით გადაიხსნებოდა და ხან ისეც შეგიყოლიებდა, დამოუკიდებელ მხატვრულ-დოკუმენტურ ქმნილებადაც წარმოგადგებოდა — არა მარტოდენ თავისებურ გზამკვლევადა, არამედ ავტობიოგრაფიული ყადის თხზულებად, ფრაგმენტებს შორის თვითონვე რომ პოულობ იდუმალ ძაფებსა და კავშირებს, რაც ბევრ შემთხვევაში ძალდაუტანებლად ამოგაკვებინებს მათ შუა დატოვებულ „ცარიელ სივრცესაც“.

ოთარ ჭილაძესაც ჰყვარებია სხვათა ყოველდღიურ ჩანაწერთა კითხვა და თუნდაც 1995 წელს, ლევ ტოლსტოის პირად ჩანაწერთა კითხვისას, კიდევ ერთხელ ჩაუკვირდებოდა სიცოცხლის არსს.

ამის თაობაზე ფიქრი მისი, როგორც მწერლის, არსებობის დვრიტა და საფუძველთა საფუძველი გახლდათ, მაგრამ საგულისხმო ისაა, ამ ყადის ჩანაწერთა გაცნობას განსაკუთრებით რომ გაუმძაფრებია ეს შეგრძნება, თანაც ეს დაკვირვება მიუჩნევია არა პირადი განცდის გამჟღავნებად, არამედ ზოგადადამიანური თვისების გამოტანად მზის სინათლეზე.

— სწორედ დღიურების კითხვისას იგრძნობა, თუ რა სწრაფად მიედინება ადამიანის სიცოცხლე და, რაც მთავარია, თითქოს ხელმეორედ კვდება ის, შენს დასანახად, შენს თვალწინ, შენს ხელზე... სადღაც ერთხელ უკვე დაენერა ეს ფრაზა?

თუმცა რა დაშავდებოდა, თუკი გაიმეორებდა ტოლსტოის დღიურებთან დაკავშირებით?!

სწორედ დღიურების კითხვისას... ეს „სწორედ“ ამ უაღრესი გამორჩეულ ფასის სდებს, ისე აღამაღლებს, რისი ღირსიცაა, თუკი სტერიოტიპთა ან სნობურ გემოვნების ტყვეობაში მოქცეული აქამდე ვერ ხედავდი მის კოლორიტულობას, გამორჩეულ მნიშვნელობას, და ლიტერატურულ მარკინალივებს შორის გეგულვებოდა მისი ადგილი.

არადა, სწორედ ყოველდღიური ჩანაწერებია, ხელშესახებად რომ გავსებს იმ უჩვეულო შეგრძნებით, სხვა სამწერლო ჟანრებში რომ ვერ იპოვნე.

თვითონაც ინიშნავდა, ინერდა, რვეულს რვეულზე ავსებდა და ასე თანდათანობით იქმნებოდა მისი ხელთათხამ ორიგინალური და განუმეორებელი უაღრესის ჩინებული ნიმუში, რომელსაც... თავისი ავადმყოფობის ისტორიად გაიაზრებდა.

დღიურის მაგივრად ავადმყოფობის ისტორიას ვადგენო, — აკი პირდაპირაც ჩაინიშნავდა, დარწმუნებული, რომ ნამდვილ მკითხველს არ გამორჩებოდა, ეს „მაგივრად“ აღექვა არა ლექსიკონური, დადგენილი მნიშვნელობით, არამედ კონტექსტის განწყობილების მიხედვით. კონტექსტი კი ვეკარნახობს, რომ „დღიურსა“ და „ავადმყოფობის ისტორიას“ შორის იგივეობა დაინახოთ, ისინი ერთმანეთს გაუფტოლოთ და შეუთანაბროთ. ამასთან, მივუხვდეთ, რომ ეს იგივეობა ოთარ ჭილაძის მარტოდენ თავის კონცეფციად კი არ მიაჩნდა, არამედ დღიურის უაღრესის ერთ აუცილებელ საყრდენად.

ამ ჩანაწერთა მოძიების, დალაგების, შერჩევის დროც დადგებოდა და ამ „ზღვა მასალიდან“, როგორც იხსენიებს რედაქტორ-შემდგენელი და წინასიტყვაობის ავტორი თამაზ ჭილაძე რვეულთა ამ წყე-

ბას, ამოვიდოდა ნიგნი, რომლითაც გამოცემლობა „ინტელექტი“ ახალ სერიას დაუდებდა სათავეს — ჩანაწერების ციკლს, მთელი სამწერლო ცხოვრების კიდევ ერთი მხარე თვალნათლივ რომ გამოეკვეთა და დღიურებისათვის საბოლოოდ დაემკვიდრებინა მოქალაქეობა.

ეს უცვრად გაელვებულ აზრები, თუ ნიგნითა თუ ცხოვრებისეული მოვლენით აღძრული შთაბეჭდილებანი ძმისა და რედაქტორის თვალში ჭექა-ქუხილის დროს გადაღებული ელვის ფოტოსურათთა ასოციაციასაც იწვევდა, და ის შეგრძნებაც ეუფლებოდა, რომ ამ ნიგნში, როგორც ნიჟარაში, თითქოს მისი ხმა ჩარჩენილიყო, თავისებური აკომპანიმენტი მისი გულახდილობის იშვიათი ნუთებისა („როცა საკუთარ ნაწერს კითხულობდა, თითქოს რომელიღაც საიდუმლო ეზოთერიულ რიტუალს ასრულებდა — ხმა თითქოს სხვა, იდუმალ სამყაროში იყო ჩასახული, როგორც პურის მარცვალი — ხნულში, და აღმოცენებული, როგორც ლოცვა“).

ნიგნს სახელწოდებასაც თამაზ ჭილაძე შეურჩევდა, პირდაპირ გაიტანდა გარეკანზე ერთ სამსიტყვიან ჩანაწერს, პოეტური სტრიქონით რომ ჩამოქნილა და, თუმცა ლირიკულ ნიმუშში გადასახლება არ ელირსა არამარტო შთაბეჭდავ ტაეპად, არამედ ეგებ სულაც ამ ნიმუშის საყრდენადაც, სათაურად გაბრწყინდებოდა და ჩანაწერთა ამ რკალის სულისკვეთების დაუნჯებასაც იტვირთებდა ერთი

როსტომ ჩხეიძე

ერთ არსებაში: გოჩაც, ონისაც

(ოთარ ჭილაძის დღიურის ფურცლები)

ეფექტური მოქნევით:

— ცა მიწიდან იწყება.

ამ ყადის ჩანაწერები, მზამზარეულ პოეტურ სტრიქონებად რომ აღვიქვამთ, ის კი არა, სულაც დაუნერელი ლექსის მთავარ საყრდენად, დღიურთა ამ რკალში არაერთია:

— ბრმა იყო, მაგრამ მხოლოდ თვალებით.

— სიტყვის დასანახად ხალხი მაღლა უნდა აახვილო.

— ამ ცეცხლმაც სულმთლად დაკარგა ძალა. თუმცა ფეხშეკრულ მამალივით მაინც ფართხალებს.

— შამილი — ამბოხებული ღრუბელი.

— ღამე გრძელი, როგორც ცარიელი მატარებელი.

— საფლავიც კვდება, თუ დაივიწყებ და აღარ მოუვლი.

— თუ ღმერთი არ არის, მაშინ ადამიანი მატლია.

— კარი არა აქვს ჩემს ეკლესიას...

— ყანა ამინდის შვილია.

— ბედნიერება უნდა მოითმინო.

— კოცონივით ბრიალებს აყვავებული ტყემლის ხე.

— შენს მაგივრად არავინ მოკვდება.

— წარსული ჩემგან იწყება...

— წარსული ყოველთვის წინ გელოდება!

— უქალოდ დარჩენილი კაცი უიალქნოდ დარჩენილი ნავივითაა...

— სიცარიელე ცად რომ იქცეს, მიწა ჭირდება.

სახელდახელოდ მოკრებილი ეს ფრაზები — თვითეული საგანგებო მსჯელობისათვის რომ განგანყობს — ისეთი განცდით შეგრძნავენ, რაც ყოველთვის ეუფლებოდა ამგვარი შემთხვევებისას — თითქოს პოეტურ ნანგრევებში იდგე... ოღონდ გულისტკივილთან ერთად ის ფიქრიც გაგიღვებს, ხომ აქვს ნანგრევთა ხილვა თავისი უჩვეულო, განუმეორებელი ხიბლი, რასაც მთლიანი შენობა ვერ განგაცდევინებს.

ისე „შამილი — ამბოხებული ღრუბელი“ პოეტურ სტრიქონადაც გამოსადეგია და მხატვრულ-დოკუმენტური თხზულების სათაურადაც, მის მხატვრულ მრწამსსაც რომ გულისხმობს, ისევე, როგორც ამ ფრაზებზე შეიძლება აიგოს ესეცი და მხატვრულ-დოკუმენტური ქმნილებაც:

— „მერანი“ ქართული სულის თავგადასავალია.

ანდა:

ბოლოსდაბოლოს, ლიტერატურა სიყვარულის ისტორიაა!

თუმცა ის ჩანაწერი მაინც სულ სხვაგვარად გვიფორიაქებს გულსა და გონებას, მწერალს ხევისბერი გოჩასა და ონისეს გამთლიანება რომ მოენდომებინა საკუთარ არსებაში.

კი მაგრამ...

როგორ შეიძლება ეს ორი განსხვავებული ხასიათი გაერთიანდეს?

თუნდ მეტაფორულადაც და ძალზე ზოგადადაც ყოვლად წარმოუდგენელია, არა?

თუმცა ასე იოლადაც ნუ განვსჯით, რაკილა გამორჩეულ მწერალს გაუჩნდა ეს სურვილი, თანაც თავს ალექსანდრე ყაზბეგის სულიერ ჩამომავლად რომ მიიჩნევდა, და, ცხადია, ეს მხატვრული სამყარო განსაკუთრებით მახლობელიც და ძვირფასიც გახლდათ მისთვის.

— მე საიმისოდ ჯერ ძალიან ველური ვარ, სამშობლო რომ ვანაცვალო სიყვარულს.

ეს შეგრძნება ვის მითოსურ მედეას ნამოგონებს, ვის სტენდალის „ვანინა ვანინის“, ვის ალექსანდრე ყაზბეგის „ხევისბერი გოჩას“.

და თუმცა ოთარ ჭილაძეს მედეას ტრაგიკული ბიოგრაფიისათვის რომანიც კი მიეძღვნა („გზაზე ერთი კაცი მიდიოდა“), ამჯერად შთაგონებას მარტოდენ ალექსანდრე ყაზბეგის გმირები გაუღვივებდნენ და კიდევ ბოლომდე გაჰყვებოდა ამ ანაზღაურებულ განწყობილებას:

— მე ჯერ გოჩა ვარ და არა ონისე,

ისპირებოდა ერთმანეთს — არსად, და ეგებ ყოველი რომანის დაწერის წინ ელომავებოდა ოცნებას — იქნებ აქ მაინც... ოცნება ოცნებად დარჩებოდა.

ჯერ კვლავაც გოჩად უფრო შეიგრძნობდა თავს და... ენატრებოდა იმ მიჯნის გადალახვა, რომლის იქითაც თავდავინყებულის სიყვარული იწყებოდა, ზღაპრისმაგვარი ზღურბლის უკან მოტოვება, უჩვეულობაში თხემით ტერფამდე ჩაძირვა.

ონისესთან გაიგივება მომავალში ეგულვებოდა და ისე მისწრაფოდა იმ მომავლისაკენ, როგორც თავისი დიდი წინამორბედის რომანის უმთავრესი კონფლიქტის განმეორების მსურველი ახალი დროის შესაფერისად.

თუმცა ახალი დრო ქრონოლოგიურად უფრო ითქმის, რადგანაც მას შემდეგაც იმავე განცდებსა და ტვიკილებში ვტრიალებდით და ჯერჯერობით არც მოჩანდა მკვეთრი ცვლილების მაუწყებელი ნიშანი სულიერების მხრივ, მიუხედავად იმისა, რომ იმუაშინდელი ოცნების საქართველო ჩვენს თვალწინ დამოუკიდებელ ქვეყნად ამომართულიყო.

ჯერაც მოსაპოვებელი გექონდა ადგილი სხვა სახელმწიფოთა თანასწორად საკაცობრიო ცხოვრებაში.

და ასეთი რეალობის ფონზე ოთარ ჭილაძეს თავისი მწერლურ-სულიერი ჩამომავლობა რომ ეამაყებოდა, გარშემო თვალის მიმოვლელისად დიდად სანუგეშო სურათს ვერ ხედავდა, და 1995 წლის შემოდგომასა თუ ზამთრისპირზე ამ უამრად განცდას ზოგადად რომ ჩაინიშნავდა:

— ჩვენ გყავს მწერლები, რომლებიც ქართულად კი წერენ, მაგრამ ქართული ეროვნული სულისკვეთება არ გააჩნიათ.

გულისწყრომას ამგვარად გაშლიდა თუ დააზუსტებდა:

— მხატვრულად რომ ვთქვათ, ჰემინგუეის ნაბიჭვრებს უფრო ჰგვანან, ვიდრე ყაზბეგის კანონიერ მემკვიდრებს.

თითქოს არც ჰგავს ოთარ ჭილაძის ჩანაწერს — იგი ხომ დიდი თავშეკავებით გამოირჩეოდა და მისი ლიტერატურულ-პუბლიცისტური სტატიებიც, ინტერვიუ-იალოგებიც და დღიურებიც მისი პიროვნული ხასიათის ამ თვისებას ხელშესახებს ხდის... და უცვრად ამგვარი შესიტყვება („ჰემინგუეის ნაბიჭვრები“), რაც ამოვარდნილი მოჩანს მისი სტილური მეტყველებიდან.

ამ შემთხვევაში ერნესტ ჰემინგუეის სახელი ჰკარგავს უშუალო შინაარსს და განზოგადდება მთლად კოსმოპოლიტიზმადაც თუ არა, ჩვენი დრამატული რეალობისაგან დაშორებულ და განყენებულ თემატიკად, მოტივებად, ხასიათებად... და ველარსად იპოვნი განცდას იმისა, რომ ქვეყანა თავზე გენგრევა და კვლავაც იმ საშიშროების წინაშე დამდგარა ახლად-მოპოვებული დამოუკიდებლობა, რამაც 25 თებერვლის ტრაგედია მოვიტანა შვედი ათეულის წლის წინათ.

მწერლისათვის ერთადერთი — და არა ერთ-ერთი — გზა ამ რეალობაში მოქმედებისათვის ეროვნულ ფესვებთან კავშირის შენარჩუნებაა ანუ ალექსანდრე ყაზბეგის კანონიერ მემკვიდრედ თავის შეგრძნება.

ეს უკვე ორი პოლუსია, ერთმანეთთან მკვეთრად დაპირისპირებული, და ასეთ დროს ოთარ ჭილაძე აღარ დაგიდევს გამოთქმის სიფაქიზეს.

დაე ითქვას ისე, როგორც კალმის წვერს მოწყდა. რატომ ექებოს ევფემისტური შენაცვლებანი.

დაე შეჭიდებოდნენ ერთიმეორეს ჰემინგუეისა და ყაზბეგის მიმდევრობა.

ოთარ ჭილაძეს თავისი ადგილი გარკვეული აქვს და სხვათაც შეაგონებს, ფეხი არ გადაუცდეთ გარეგნული ბრჭყვიანებისაკენ.

და თვითონ ალექსანდრე ყაზბეგის სამყაროში რომ დაეფლობა, გრძნობს:


თუ ვინ წარმომდგარა მის მზერაში მონუმენტივით, უთუოდ ხევისბერი გოჩა.

ტრადიციების, ზნეობის დამცველია, შეუვალიც, შეუმცდარიც, განგების გადაწყვეტილების აღმსრულებელიც.

მაგრამ გულისგულში ჩაზღუდებულა სწრაფვა ონისეობისაკენ...

ჩაბუდებულა...

ოღონდ ეს მაშინ და მხოლოდ მაშინ, როდესაც მწერლის გახელებული სიყვარული საბედისწეროდ არ გადაექცევა მის სამშობლოს. ქვეყნის გადარჩენის



განცდა აღარ იქნება ასეთი შემდგომი და მშთანთქმელი.

ჯერ მხოლოდ ანალიტიკურად განსჯის სიყვარულის ბუნებას, გზის გაკვლევას ლამობს მისი უკიდურესი მხრისაკენ... ჯერ მხოლოდ „ხევისბერი გოჩას“ შემოქმედის მხატვრულ მრწამსს ეყრდნობა, მას მინდობია და დაბეჯითებით იზიარებს ონისესმაგვარი პერსონაჟის არსებობის რეალურობასაც, ყაზბეგის სხვა გახელებული მიჯნურებისა არ იყოს, და ცდილობს, უღრმეს შრებამდე ჩაჰყვეს საკუთარ სულს მისთვისაც უცნაური და აუხსნელი ნამცეცხვის მისაგებად.

სიზმრად არასდროს გამოცხადდება არც ხევისბერი გოჩა, არც ონისე.

ალექსანდრე ყაზბეგიც არა.

განა რა აუცილებელია?

ცხადია, არა... და მხოლოდ იმიტომ გაგვიღებდა ეს ფიქრი, რომ ოთარ ჭილაძის ზმანებაში გამოცხადებულა სულ სხვა მწერლის სახეობა.

ეს 1971 წელს მომხდარა.

— დამეიზმრა, თითქოს ფოლკნერს ენერა: საქართველოს ისევ ხამის კაბა აცვია, ღვთაებასავით.

ვითომ მისტიფიკაციაა? თავის მოსაზრებას მიაწერს „ხმაური და მძინვარების“ შემოქმედს? ასეც რომ იყოს, რაღა მაინცდამაინც ფოლკნერი და არა, ვთქვათ, ჯეიმზ ჯოისი, ვისთვის უფრო უპირიანი იქნებოდა ამ შეხედვის მინერა? მის მიერ წარმოსახული ირლანდია ხომ ასერიგად ჰგავს საქართველოს — მისი ტყუპისცალი გეგონება. და თუ მართლაც ფოლკნერი იხილა — და, რასაკვირველია, არავითარი მიზეზი არ არსებობს, ეს ჩანანერი მისტიფიკაციად მივიჩნიოთ — განა უფრო ბუნებრივი და ლოგიკური არ იქნებოდა მის ნაცვლად სწორედ ჯოისი გამოცხადებოდა?

მაგრამ ზმანებას რომ თავისი „ბუნებრიობა“ და „ლოგიკა“ აქვს?

ამჯერადაც ამ თვალით უნდა შევხედოთ, თორემ ჯოისი რომ უფრო აკვრიბა გულზე, ჩანანერებიდან თვალნათლივ დასტურდება. ჯერ კიდევ 1977 წელს მოიხსენიებს უდიდეს პაროდისტად, ამასთან ისეთად, ვისი პათოსიც ლიტერატურის აღორძინებისკენაა მიმართული და არა პირიქით! ამით განარჩევს „ულისეს“ შემოქმედს სხვა პაროდისტაგან, რომელნიც ამ პათოსით სულაც არ მიელტვიან მწერლობის აღორძინებას. და იქვე ძალდაუტანებლადაა გამჟღავნებული საკუთარი მხატვრული კრება: პირიქით უბრალოდ არ შეიძლება, ვიდრე ადამიანი იარსებებს... ადამიანს სჭირდება ვარდზე მკვნივე სავი ბულბული, ძალზე მარტივად რომ ვთქვათ.

ნიშანდობლივია, რომ საგანგებოდ ჩაუნიშნავს 1996 წლის 17 მარტის განწყობილება — ნიკო ყიასაშვილის გარდაცვალების დღის. უკანასკნელი საუბრისას მას ოთარ ჭილაძისათვის გაუმხელია: დავამთავრე „ულისე“.

და ჩანანერში:

— მარტო ამისთვის ეკუთვნის ქართველი ხალხის ამაღლობა. უკეთესად დღეს ალბათ ვერავინ თარგმნიდა ამ წიგნს. სხვათაშორის, უკვე ბევრი მიმბაძველი ყავს ახალგაზრდა მწერლებში. არა მგონია, მსოფლიოს ბევრ ენაზე იყოს „ულისე“ თარგმნილი. ქართულად არის და ეს ნიკოს დიდი დამსახურებაა.

ასეთი აღტაცებით არცერთ თარგმნილ წიგნს არ იხსენიებს, ასეთ მნიშვნელოვნად არცერთი არ ესახება, ასეთ ქრესტომათიულად მწერლური ტექნიკის, სტილური არტისტიზმის წყალობით.

არადა, მაინცდამაინც ფოლკნერმა უნდა ამცნოს იდუმალებიდან, საქართველოს ისევ ხამის კაბა აცვიაო...

ღვთაებასავით, თორემ, აბა!..

ის ფოტოსურათი მანამდე რომ ენახა და გულზეც მაშინ დაჭედვოდა და ქვეცნობიერშიც მაშინ ჩალექოდა, იოლი ახასხსნელი იქნებოდა ამგვარი ზმანება, მაგრამ იმ ფოტოს ხილვა ექვსი წლის შემდგომ უნდა მოხდეს, 1977 წლის იმ დღეს, როდესაც ორი ჭაბუკი ესტუმრება — მისი ნიგნი უნდა და ამიტომაც შეანუხებენ. სანაცვლოდ ერთი კლავიკოონის სურათს მიუტანს, მეორე კი ფოლკნერისას.

— იმ სურათზე ფოლკნერი რიდაციტ ქართველ გლეხსა ვავს, რაღაცნაირად ქართულად სევდიანია, არა სიღარიბის (დაკონკილი ტანსაცმელი აცვია), არამედ ბედის უკუღმართობის გამო.

ეს სწორედ ის ფოტოსურათი უნდა იყოს, ბევრ ჩვენგანს განსაკუთრებით რომ უყვარს და სწორედ ამავი მოტივით, თუნდაც გაცნობიერებით ასე მკაფიოდ ვერც გაგვეცნობიერებინა, ამერიკელი ბელეტრისტი ქართულად სევდიანი რომ არის.

საგულისხმოა, რომ ამერიკელი შემოქმედი გლეხს მოაგონებს და არა არისტოკრატს, რაც ასეთი ხელშესახებია უილიამ ფოლკნერის გარეგნობაში.

ქართველი მწერალი მისი დაკონკილი სამოსის მიღმა იხედება და ჭკერტს უფრო მეტს, ეს „უფრო მეტი“ კი ბედისწერასთან მისი შეჯახება და ის ბრწყინვალე დამარცხებაა, ამერიკელს ყველაზე დიდ გამარჯვებად რაც ესახებოდა.

ფოლკნერის დაკონკილი სამოსიც მის სულში ჩასახლებულ ღვთაებრივზე მინიშნებაა — გარეგნობაზე არეკილი სულიერი მადლი, უხმოდ რომ ღაღადებს რაღაც იმგვარს, რაც ქართველმა მწერალმა ასეც შეიძლება აღიქვას: საქართველოსაც ასეთივე სამოსი მოსავს, ოღონდ ღვთაებასავით და მხოლოდ ღვთაებასავით.

სიზმარმა დაასწრო ცხადს.

და ფოტოსურათმა მხოლოდ უნდა დაადასტუროს წლების წინანდელი ხილვა, რომელიც ერთი შეხედვით ამოვარდნილი მოჩანდა ოთარ ჭილაძის წარმოსახვებში.

თვითონ აღარც უბრუნდება მაშინდელ ზმანებას, არ აბამს ძაფებს მოლანდებლასა და ფოტოსურათს შორის. და ჩანანერებში ეს ორი პასაჟი დამოუკიდებელ ფრაგმენტად გვევლინება, თუმც იდუმალი კავშირი თავისთავად გაიბმის და სწორედ ეს იდუმალებია, რომელიც გირჩევს, რომ ტყუილბრაოდ არ ეცადო თარიღების გადაწვავებას.

მითუმეტეს, რომ ნამდვილად ასე სჯობს — ჯერ სიზმარი გენვიოს და შემდეგ გამორჩენის მისი დადასტურება.

სჯობს — პირწმინდად მხატვრულ-ესთეტიკური თვალსაზრისითაც.

და უილიამ ფოლკნერისეულმა მინის შეგრძნებამაც მანამდე აგაფორიაცოს და თვისტომადაც მიიჩნით, როგორც საქართველოს სატიკვიაროს ღრმად გამგებნი, ვიდრე მისი ფოტო დადასტურებდა ამაზე და მეტი სიმძაფრით შეგავრძობინებდეს იმ მადლს, რაც „ავგისტოს ნათელის“ შემოქმედს მართლაც ასე ჩვენიანს ხდის.

არანაკლებად, ვიდრე ჯეიმზ ჯოისის.

„ულისეში“ უბრალოდ ზედაპირზეა ამოტანილი ის ყოველივე, რაც ირლანდიელი მწერლის ამ რომანს ჩვენი პირადი ტრავმების მხატვრულ გარდასახვად შეგავრძობინებს.

ამოტანილი — საქართველოსა და ირლანდიის ბედის დიდი მსგავსების გამო. მადლობა ღმერთს, რომ არა ყოველმხრივი, თორემ მშობლიური ენაც ველარ გადაგვირჩებოდა და ჩვენს ტკივილებზე ვარამს სხვის — რაღა სხვის, სწორედაც დამპყრობლის — ენაზე მოვყვებოდით ირლანდიელელებით.

ცხადია, არც ისეა აუცილებელი, მაინცდამაინც ფოლკნერს დაესესხო ამა თუ იმ შეხედულების გამოთქმისას, ანდა თუკი პირადი გამოცდილების გაზიარებისას უნებლიეთ ფოლკნერის გამოცდილებას შეეხმიანები, შესაბამისი ციტატიც მოიხზო მისი საუბრებიდან, იმ უანდიდან, რაც ამერიკელი მწერლისათვის დღიურსა თუ უსისტემო ჩანანერებს ცვლიდა.

ვთქვათ და:

უილიამ ფოლკნერის თვალთახედვაში სხვაგვარად ლაგდებოდა მის პერსონაჟთან ყველაზე საყვარელი გმირები, ვიდრე მკითხველის აღქმაში.

თითქოს აქ რაიმე განსხვავება არ უნდა არსებობდეს?

განა ყველას დაახლოებით ერთნაირი მოსაზრება არა გვაქვს, თუ რომელი გმირი შეიძლება იყოს სიყვარულის ღირსი, რომლის მიმართ კი უსიამოვნოდ ან სულაც ზიზღით განვენყო?

თურმე არა.

უილიამ ფოლკნერი მოქმედების მიხედვით კი არ აფასებდა თავის პერსონაჟებს, არამედ — თუ რომელია ანურვინა უფრო მეტი ჭირისოფლი, ვიდრე მათ ხასიათებს გაიზარებდა და გამოკვითდა. და ძალდაუტანებლად ახსენებოდა ის დედები, რომელთაც სწეული ინვალიდი შვილები ჰყავდათ, განსაკუთრებულ მზრუნველობას რომ მოითხოვდნენ. ასეთ

დედებს ხომ ეს შვილები ერჩინათ ჯანმრთელებს, სასლამათებს, რაკილა მათზე მეტი ამაგი მიუძღოდათ.

თითქოს ამ შეხედულების გაგრძელება იყოს ოთარ ჭილაძის 1977 წლის ის ჩანანერი, რომელიც პირად და მარტოდენ პირად გამოცდილებას ეყრდნობა, და აუცილებლად მიუჩნევია დაკვირვებოდა თავის გმირებს მსჯელობის იმ ფონზე, რასაც კრიტიკოსებისა და სხვადასხვა წრის მკითხველებისაგან ისმენდა, და საკმაოდაც მიაღწევდა მის ყურამდე არაერთი ამგვარი აზრი, რაკილა პოპულარობა ჯერ კიდევ ლექსებითა და პოემებით მოეხვეჭა, ზედიზედ ორი რომანის — „გზაზე ერთი კაცი მიდიოდა“ და „ყოველმან ჩემმან მპოვნელმან“ — გამოქვეყნებამ კი სახელი კიდევ უფრო გაუთქვა და ამ განწყობილების გამოსახატულება გახლდათ თუნდაც გურამ დოჩინაშვილისეული შეფასება, ოთარ ჭილაძის სადებიუტო რომანს განსაკუთრებული ეპითეტით რომ განსაზღვრავდა: მარადიული, — რომლის ფონზეც ყოველგვარი აღმატებული შეფასება ფერმკრთალდება.

თვითონ მწერალი ასე გამოხმაურება ამ აუიოტაჟს:

— ჩემი გმირები მე უფრო მიყვარს, ვიდრე მომწონს. მწერალი მშობელივით „ბრმაა“, მას შეიძლება ყველაზე მეტად ის გმირი უყვარდეს, რომელიც მკითხველის სამართლიან ზიზღსა და აღშფოთებას იწვევს...

რასაკვირველია, ამ ერთადერთი მიზეზით შეიძლება გაუჩნდეს ეს გრძნობა — ყველაზე მეტი ჭირისოფლი რომელმაც ანურვინა, ვიდრე დასრულებულ ხასიათად წარმოდგებოდა, თავისთვის ინიშნავს ასე, იმ წუთას არც ვარაუდობს მკითხველებს, რომელთაგან ზოგი თუ ადვილად მიუხვდება, რასაც გულისხმობს, ზოგი შესაძლოა გაცეცხულიც დარჩეს და ვერ გაერკვეს, როგორ შეიძლება ჩემს საყვარელ მწერალს თავისი პერსონაჟებიდან ის უყვარდეს, ვინც ჩემი სამართლიანი ზიზღი და აღშფოთება გამოიწვიაო.

მაგრამ მე რაკილა გაახსენდება, ოდესმე ამ ჩანანერებსაც ეყოლება ნამკითხველი, გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად ამგვარი ფრაზის ჩანიშვნასაც აუცილებლობად მიიჩნევს:

— როცა მწერალი „საზიზღრობას“ ქმნის, „მშვენიერების“ არსებობას ახსენებს მკითხველს...

პერსონაჟი, რომელიც ზიზღს აღგიძრავს, თავისდაუნებურად ხომ მოგანატრებს და მოგანყურებს მშვენიერებასთან შეხვედრას.

ამასთან, ეს სტრიქონი განმარტება მათთვის, ვისაც მიაჩნია, რომ ოთარ ჭილაძის რომანებში ზომავზე მეტი საზიზღრობაა ამოხილული ადამიანის სულის ბნელი ტალღებიდან.

ამ მხრივ ფოლკნერის იოკნაპატოფას საგა უნდა ნახოთ!.. ცხადია, იმ აუცილებლობის გათვალისწინებით, საზიზღრობის მიღმა გადახედვა რომ მოინდო, ეს შემთხვევით კი არ მომხდარა, არამედ ამ მხატვრულმა ქმნილებებმა გიბიძგათ.

ამის თაობაზე, ეტყობა, ხშირად ფიქრობდა.

რა გასაკვირია, ჩანანერებშიც არაერთხელ ეჩინა თავი გულისჭიდილის ამ თავისებურ გამოვლენებს.

ვთქვათ, 1989 წელს:

— ადამიანი ჩვენგან გაკიცხვას კი არ იმსახურებს, არამედ თანაგრძნობას; აი, ერთადერთი, რისი თქმაც შემიძლია: უნდა თანაუფრთხილ ყველას!

ან 1993 წელს:

— მწერალი დიდს პატარაში ეძებს, მაღალს — მდაბალში, ლამაზს — მახინჯში და, თუკი ზედმეტი მკრეხელობა არ იქნება მისგან, ქრისტეს — იუდაში.

ანდა იმავე წელს:

— შეიძლება გაჭოდეს, მაგრამ არ გესმოდეს ადამიანისა, ასევე შეიძლება, გიყვარდეს და არაფერი გაგეგობოდეს მისი.

ან კიდევ 2006 წლის ჩანანერი, სადაც ეს ფიქრი მხატვრულ მრწამსად გვიმჟღავნდება. ის, რაც ისედაც შეგვეცნო მისი რომანებიდან, ლიტერატურული ფორმულის სახითაც ჩამოყალიბებულია:

— როგორი ნიჭიერიც არ უნდა იყოს მწერალი, ვერასოდეს შექმნის მეტნაკლებად მნიშვნელოვან ნაწარმოებს, თუკი მიზნად ადამიანის მხილებას ისახავს და არა გამართლებას, დასჯას და არა დაცვას...

ეს ის ზოგადესთეტიკური შეხედულებაა, რასაც ქართველი მწერლის ხვედრში ეროვნული ტკივილები გადაჯაჭვია, მეტიც, ამ ფესვზე ამოზრდილა მისი შემოქმედება, თუკი ალექსანდრე ყაზბეგის მემკვიდრეობაზე დებს თავს, და ოთარ ჭილაძისათვის სულაც სამსახოვნება შეუქნია.

ეს ხომ ის გარდუვალობაა, რაც ქართველ მწერალს ერთდროულად აქცევს მწიგნობარ ბერად, მინას შეჭიდებულ გლეხად და ხმალამოღებულ მეომრად („ეს სამგვარი, თუ გასამებული ბუნება ქმნიდა მარად შეჭირვებულ, მარად ბუნვის ხიდზე მავალ, მარად უმადურობისა და გულგრილობის ქოხში გამომწყვდეული ქართველი მწერლის სახეს“).

ეს ხომ ის რწმენაა, რომ ქართული მწერლობაც ისეთივე ეროვნული და, თუ გნებავთ, ისეთივე სახელმწიფოებრივი ფენომენია, როგორც სამეფო დინასტია ანდა მართლმადიდებელი ეკლესია („...და ამიტომ, ვინც ქართულ მწერლობას უპირისპირდება, ის ქართულ სახელმწიფოებრიობასა და ქართულ ეროვნულ შეგნებას უპირისპირდება ფარულად“).

ეს ხომ ის განცდაა, ქართულ მწერლობას საქართველოსათვის წამებულ წმინდანთან რომ აიგივებს, და დარწმუნებული ხარ, რომ მისი სისხლიანი პერანგი მტერს დღესაც გონებას ურევს.

ათნულულთა წინათ მიხილ ჯავახიშვილი ქართველი მწერლის კალამს გოლგოთას რომ შეუდარებდა, ამ მხრივ ჯერაც არაფერი შეცვლილიყო და წამებული წმინდანის სისხლიანი პერანგი მეტაფორად თუ ჰიპერბოლად კი არ გობრდაქმნილიყო, არამედ ხილულ რეალობად რჩებოდა.

მე ჯერ გოჩა ვარ და არა ონისეო...

სამშობლოს თუნდ უნებლიე მოღალატე მკაცრად უნდა დასჯილიყო, შენი სისხლი და ხორციც რომ ყოფილიყო, და თუ მარჯვენა თვალს შეატყობდი ცთუნებისაკენ მიდრეკილებას, დაუნანებლად ამოგეგლიჯა...

მაგრამ ონისეს წინააღმდეგობრივ, დრამატულ ხასიათსაც რომ ჰქონდა თავისი უცნაური ხიბლი, ის მიმზიდველობა, თავის დიდ ვნებათაღელვებაში რომ გითრევდა და გახელებასაც გადაგებდა?..

და გრძნობდი, ამისთანა შემთხვევებისას ყველაზე ძალუმად და ხელშესახებად გრძნობდი, რამხელა თავისუფლებას ანიჭებს მოქალაქესაც და ხელოვანსაც დიდი და ძლევამოსილი სახელმწიფოს შვილობა... და, თავდაიწყებულ სიყვარულზე რომ ოცნებობ, ქვეშეცნეულად სწორად იმ თავისუფლებას მიელტვი, იმ ქვეყნის შვილისას...

ზღურბლის გადალახვის გზაც აკი თვალწინ გადაგშლია — გაამძაფრებ ონისეს შლეგი სიყვარულის გამეორების ჟინს შენს სულში, ბოლომდე ჩაენაცვლები, და კიდევ...

მაგრამ იმავდროულად ამძაფრებ გოჩას შეუვალობასაც და შენი არსება ზღურბლს რომ მიანყდება, წინ შენივე მეორე მე გადაეღობება ხანჯალშემართული... რაკილა ჯერ მაინც გოჩა ხარ და მხოლოდ ამის შემდეგ — ონისე...

სხვა რა დაგჩენია — ჯერ ისევ ფრიალებს სისხლიანი პერანგი...

და საქართველოს ჯერაც ხამის კაბა აცვია... ღვთაებასავით, მაგრამ მაინც...

უილიამ ფოლკნერი საიდანღა მოგველენოდა თანამგრძობად, მრჩეულად, ხელის შემამშველბლად, მას ხომ ჯოისივით არ გამოეცადა სამშობლოს დაკარგვის ტრაგედია... მაგრამ მინა განეცადა მთელი არსებით, მინის ტკივილი შეეგრძნო, მინის მადლი შეეთვისებინა, და იქ, იდუმალების სივრცეებშიც გადაეტანა... იდუმალების იმ სივრციდან კი ყოველთვის შეიძლება ამა თუ იმ მწერლის ზმანებაშიც ამოჰყო თავი და მასთან ერთად მიადგონო სევდიანი მზერა სისხლიანი პერანგის ფრიალსაც.

ღვთაებასავით, — ამით ანუგეშო და გაამხნევო, — ღვთაებასავითო...

* * *
რომორ შეიძლება ქართველი მწერალი ალექსანდრე ყაზბეგის მემკვიდრე არ ჰგავდესო, — ვერ აესხნა ოთარ ჭილაძეს, იმას კი გრძნობდა, თუ საიდან გასჩენოდა უილიამ ფოლკნერს რაღაცნაირად ქართული სევდა!..

ზაფხულის ღამე ვერის სასაფლაოზე

კახა რობაქიძის ხსოვნას

აქ, ამ ქალაქის განაპირას ხეების რხევა მწყობრია და თან შუქ-ჩრდილები ახლავს რამდენი, ამ სინყნარეში ასე ვფიქრობ: მე თვითონ დღე ვარ, მე თვითონ დღე ვარ, დაღამდება და დავღამდები.

აქ ამ ქალაქის განაპირას მე თვითონ დღე ვარ, ან საღამო ვარ, ქვაფენილზე ჩამონთხეული, და ამ ბექობზე მოშრილვე ხესავით ღელავს უაზრო მწუხრით გაჟღენთილი ჩემი სხეული.

ელნათურა ვარ, რომ ინთება და ისევ ქვრება და კვლავ ინთება სიბნელეში შუქის ჩამღვრელი, და ქვაფენილს რომ შევეხები, ვიქცევი ქვებად, ქვა, ქვა ვიქნები შეფერილი ჩემი ნალველით.

შენ რად იქეცი, რად ნახვედი ან სად ნახვედი, თითქოს შეაღე უხილავი რაღაც კარები, მერე შუქით ჩამოღვარე შენი ნალველი და ახლა უკვე მოცული ხარ მაგ სინყნარეთი!

სადაც ქარია, მიდამოა, ქუჩა, ფურცელი, სადაც დარდია, ტრაპეზია ანდა ხეტება, ადამიანად ყოფნას რატომ ვერ გაუძელი, ან შენი ჩრდილი კედლებს კიდევ რატომ ედება?

რატომ ედება, რად იქეცი შენ მოჩვენებად, ზაფხულის ღამეს შრილებზენ შფოთით ფოთლები, და აქვე, აქვე მოდის შენი ჩრდილი, ჩერდება, ვერის აღმართზე დგას წყნარი და შენაშფოთები!

რამ შეგაშფოთა? განა ქვეყნად მარტო შფოთია, ვინ იცის ახლა, ვინ რას ეძებს, ვინ რა ინდომა, ისინი ღამით ამ აღმართზე არ ამოდიან, ნაგვიანვად ამ აღმართზე შენ რა გინდოდა?

აი, ეს სურო ქვის კედელზე. შენი მხილველი უკანასკნელი. შენი ხვედრის ჩუმი გვირგვინი; აი, სხივები, ელნათურის ჩუმი სხივები, და სასაფლაოს გვერდით ქუჩა ძილად მიგვრილი.

შენ აქ მოხვედი, შენი ჯვარი თვითონ მოგქონდა. შენ აქ მოხვედი, სადაც ახლა სუფევს წყვილი. და თუ არსებობს ნატყვიარი ქვეყნად გოლგოთა, სწორედ ეს არის, - სისხლიანი და ნატყვიარი!

შენმავე ხვედრმა თუ შეგაკრთო ნეტავ თვითონაც, და თუ შეირხა ოდნავ მაინც შენი არსება, და თუ ეს იყო ბედისწერა? შემთხვევითობა რაღაა მაშინ? ბედისწერას რად ეთავსება?

შენ აქ მოხვედი შენს ადგილთან შენივე ფეხით, აქ ჯერ არავინ არ უნახავთ ასე მომსვლელი, რა უცნაურად შრილებდა ალვა და ვერხვი, რა უცნაურად ირხეოდნენ კვიპაროსები.

შენ აქ მოხვედი და აქ დარჩი. აღარ ნახვედი. დარჩი იქ, სადაც არასოდეს არ გაგკიცხავენ, სამოსელივით განიძარცვე შენი ნალველი და დაგეუფლა ნაადრევი, დიდი სინყნარე.

ქე - შეცთომილი

„და შევიდა სახლსა“ მათე

გამიჭირდება, ვიცი, უკვე ასე გაგნება, რადგან ყოველთვის მიჭირდა და ახლაც კი მიჭირს, ნუთუ როდესმე მე უშუალოდ მივალ საგნებთან და გაირკვევა ჩემთვის რწმენა, სინათლე, იჭვი. ნუთუ როდესმე გაიღება ბოლოს და ბოლოს კარი და სახლში შუალამით უჩუმრად შევალ, თუნდაც ეს იყოს სიზმარ-ცხადი მხოლოდ და მხოლოდ, რომელიც ვიცი უსათუოდ მომაფენს შვებას.

ყველამ ხომ სახლი დავკარგეთ და იგივე სახლი აღარ გვაქვს უკვე, საიდანაც გამოგვაძევა ტლანქმა წყვილია და ამიტომ დავდივართ ნალვით, და ამიტომაც გავემართეთ სახლის საძებრად; იქნებ ეს სახლი ცხოვრებაზე უფრო მეტია და ამიტომ გვსურს დაბრუნება იმ ოთახებში, სადაც რატომღაც თავიდანვე ვერ დავეტიეთ და საიდანაც წამოვიღეთ მწარე ნალველი... სხვა სამყოფელს რომ დავეძებთ და ოდნავ გვეცნობა, იქნებ ყოველი შეერთება არის შეცდომა საბედისწერო და მერე კი იმას ვინანით, ვინც შევითვისეთ და გვეგონა მისი გვესმოდა და სულ ასე ვართ უკანანი ანდა წინანი.

სახლი, რომელშიც ველარასდროს ველარ ვბრუნდებით გამოღწეულნი, რომლის თავზეც ბრწყინავს ცთომილი, და თავიდანვე უხილავი გვადევს ხუნდები, და თვითოეული ჩვენთაგანი ძე - შეცთომილი



ანდრო ბუაჩიძე

იბადება და ამას ტანჯვით იგებს გვიანდა, და გულუბრყვილო არის ჩვენი კარზე კაკუნი, რადგან როდესაც გვეკითხება ვინმე: 'ვინა ხარ?' არ ვიცი, მაგრამ ამ არცოდნას ჩვენივე ვინახავთ სახლდაკარგულნი.

თითქოს საგნებზე გადავივლის ჩრდილი ცხოვრების ისე ვშორდებით ერთმანეთს, რომ ვერ ვეთხოვებით, არადა ერთხელ ხომ ვისწავლეთ გამოთხოვება; მაგრამ ცხოვრება არ ვიცოდით მაშინ, ცხოვრება...

ისევ ვბრუნდები ამაღლების ქუჩაზე, სადაც ჩემი სათავე მივატოვე, მშვიდი და სადა, ისევ ვბრუნდები ამაღლების ქუჩაზე, სადაც სახლზე დაფენილ მწუხრის ჩრდილმა ხავსივით მზარდა, ისევ ვბრუნდები ამაღლების ქუჩაზე, სადაც დასაბრუნებლად და სამყოფოდ ყოველთვის მზად ვარ, ისევ ვბრუნდები ამაღლების ქუჩაზე, ბედად აქვეა დედა, ბინდებუნდვით შემდგარი დედა, მაგრამ სხვები კი არ არიან, ისიც არ ვიცი საით წავიდნენ და რა ერგოთ ნასულებს ხვედრად.

და თუნდაც ღამის ფსკერზე როგორ ყრია ეჭვები ანდა შიშები შეუმჩნევლად გამოირიყული, ძაღლების ყეფით ღამეების უხმოდ მბეჭველი დრო ნელა გადის და აივნის ბრწყინავს რიკული. იქნებ ასეთ დროს ანათებენ ჩუმი ცოდვები ფოსფორისებრი შინაგანი მწვანე ნათებით, და კაცი ძილში საკუთარ თავს უახლოვდება, და ზოგჯერ ცრემლსაც კი იშორებს მწარედ დადგენილს. ო, როგორ ყრია არა მხოლოდ ეჭვები, ტანჯვაც, და ისიც, ისიც იმ მომწვანო სხივით ანათებს, და ძილ-მღვიძარე კაცი ბოლო სუნთქვასაც ხარჯავს, თავისთავშივე სანამ ცოდვას გადაძალავდეს. მერე ღამეში უცაბედად იღვიძებს ვნება, ქალიც და კაციც ცდილობს ქენჯნა ვნებით წარხოცოს, ეჭვებთან ერთად ეს ცოდვებიც თანდათან დნება და თან მიჰყვება ტკივილწარე მათ სიავხორცეს.

რა უბრალოა სვე და ბედი ადამიანის და მის სიღრმეში რა უბრალო სინათლე სჭვივის, ის საღამოა, ქუჩაზე რომ გადაიარა ან სამაროზე მაგიდაზე ან ჩრდილი ჭიქის. და როგორ მინდა რომ შევეხო უბრალოებას, ეს ყოველივე გახდეს ჩემთვის ხელშესახები, უნდა შეჩერდეს ეს საღამო, როგორც დროება და ჩემს შიგნითაც ჩამოღვაროს თავის ნალველი. რა უბრალოა სვე და ბედი იმ კაცის, ვისაც ამ მაგიდაზე ეწყო წიგნი და სიგარეტი, არც შეუნიშნავს მას ღამეში უჩუმრად მღვიძარს, ოთახი როგორ ნათდებოდა საცხე მთვარეთი. ამ კაცმა თავის სინანული მიანდო სასამელს გასაქარვებლად და დარდი აქვს გაქარვებული, და მთვრალმა ისე ჩაიძინა, რომ მთვარე საცხე შუბლს უნათებდა სახლებს შორის დაქანებული... ისევ ის წყნარი ოთახია, ჩუმი ჭერია, ფანჯრიდან სიო უბერავს და კარი ჭრიალებს, და თუმც იმ კაცის კვალი არსად არ დარჩენილა, ღამეში მაინც მისი ცრემლი გაიბრწყინალებს.

და ზოგჯერ ისეც, ისეც ხდება რომ ილუპება ადამიანი. კატასტროფის ჟამს ეჯახება მანქანა ხეს და ველარ ასწრებს თვალის გახელას ჩაძინებული, მაშინათვე სწყდება სუფევას ამქვეყნიურს და გაკვირვება მიაქვს რამხელა...

დედა, ხომ ხედავ რომ არ ჰყოფნის მხოლოდ დედობა ამ განსაცდელის გაქარწყლებას ჩვენ რომ გვერგუნა, და თვითონ დედებს ხშირად იპყრობთ უიმედობა, თუმცა კი საფრთხის კართან დგანან მაინც ერთგულად,

მაინც ერთგულად დგანან, მაგრამ ამ ერთგულებას ზოგჯერ საყრდენი ეცლებოდა და ძალა უქრება, რადგან არავინ იცის ხვედრად რა ერგუნება ძე - ცთომილს, რად სდევს ბედისწერა მას განუყრელად.

დედა, ამ ქალაქს რომ ვუყურებ ასე მგონია, რომ ეს ქალაქი რომაული თეატრონია, ყველანაირი ბედ-იღბალი აქ ინასკვება და როცა ვინმე თავს იკლავს და მიწას ასკდება, თვითონვე ირჩევს თვითმკვლელობის ადგილსამყოფელს, მერე მის ხსოვნას გვირგვინებით იქვე ამკობენ. დედა, ამ ქალაქს რომ ვუყურებ ასე მგონია, ვისთვის ცხოვრება მორევიკა, ვისთვის - ფონია, რომელსაც ეძებს და პოულობს ხელისცეცებით ამ მდინარეში და განაგრძობს გზას ღვთის შენეებით, ხოლო ვისთვისაც ცხოვრებაა მხოლოდ მორევიკა, ის იძირება კვლავ ჯიუტი განმეორებით.

მამა გვასწავლის სიკვდილს. მამის მკრთალი ნაკვთები უცხოა, მაგრამ ვინც შეიგრძნობს, უნდა უწყოდეს, არ შეიძლება რომ ბოლომდე გაგიუცხოვდეს მამა. და როცა დრო გაივლის წელზე ნაკლები თითქოს ვცოცხლდებით, ისე როგორც მკვდარი პეპლები, და ვხვდებით ყველა უკვე მამისმადიებლები...

ისევ ვეშვები სოლოლაკის დაღმართზე, ისევ, სადაც სახლების წინ ქანაობს ირიბი სივრცე, დავექანები ამაღლების დაღმართზე კვლავაც და ქვაფენილზე ელნათურა სინათლეს რკალავს, და მე იმ რკალში ვდგავარ და შიგ ვათავსებ წარსულს, ვდგავარ კარგახანს და რკალიდან გამოსვლა არ მსურს.

და რატომ გვინდა რომ ვეძებოთ რაღაც დედური სხვაგან, სხვა ქალში, რასაც ახლავს ვნებაც და ურვაც, თითქოს ვიღაცის ამ ჩანაფიქრს თვითონ ვემდურით, უცნაურია, ეს ვნებასთან შერწყმული მღურვა. უცნაურია, რაღას ერწყმი, თუკი ემდური, მომღურავისთვის გაიხსნება მაინც ნიალი, არც თბილი სიტყვა არ დაცდება, არც საყვედური მტკვარს გაჰყვებიან თოლიები მჭახე ნიაქით.

იქნებ ცხოვრება ცთომილება არის მედინი, მსგავსი ოთხივე მხარისა და გზაჯვარედინის; ოთხივე მხარეს ცხოვრებაა; მხოლოდ ცხოვრება, რომელიც გვიან ერთნაირად გვეუცხოება. და ვეძებთ ვინრო გასასვლელებს და მეხამრიდებს, რომ გვირავიდან სინათლეზე მალე გავიდე. რაღა აზრი აქვს ამ გზებსა და გზაჯვარედინებს, საითაც გინდა იქით წადი, იქით ედინე.

ისევ ვბრუნდები ამაღლების ქუჩაზე, სადაც იქ ჩემს ძველ სახლში ყოველ ნივთსა და ყოველ საგანს ეფინა ჩრდილი. მე ვბრუნდები ისევ იქ, სადაც დაიწყო ჩემი საკვირველი მყოფობის საგა; ისევ ვბრუნდები ამაღლების ქუჩაზე, ბედად აქვეა დედა, სოლოლაკის მწუხრში დგას დედა, აქვე დაიწყო სინანული და ჩემი თრთოლვა გრძელდება დღემდე, ალბათ მერე ისევ აქ მოვალ და ისევ წავალ, არ ვყოფილვარ ადრე ვითომაც, და ყოველივე იყო მხოლოდ შემთხვევითობა...

ფითრის ფარაჯა

გამღვიძებია ღამე ლოგინში, შემომყინვია მთვარე სახეში, მობეზრდა ალბათ მთვარეს ბოგინი, შემშინებია გულის გაგლეჯვის.

აქვე ცხოვრობენ, აქვე არიან, ამ ჩემი დარდის მოწილადენი, ვინ ცოცხალია და ვინ მკვდარია, უკვე ბევრია, ღმერთო... რამდენი!

გამღვიძებია კვლავაც ლოგინში და თავზე ღამე დამთენებია, მომბეზრებია სიზმრად ბოგინი, მერე მიმხვდარვარ: არ მძინებია.

ეს რა მიქნია, რა მიცხოვრია, ცხოვრება ხელში გამცურებია, და მერე აღარც დამხსომებია, რა მყვარებია, რა მძულებია.

გამღვიძებია ღამე ლოგინში, შემომყინვია მთვარე სახეში, მუდამ უძილო და ძილმოგვრილი მოლოდინში ვარ გულის გაგლეჯვის.

ღმერთო, ეს მთვარე ჩემს ფანჯარასთან თვალისთვის ელავს და იწკურება, როდის გაიხდის ფითრის ფარაჯას და როგორ შეეძლებ ამის ყურებას.

მწუსრი

რაც უნდა მოხდეს განტეგება ანდა მკვლელობა, საღამო დაღვრის თავის ნათელს ვით დაუღვრია, დაბაში ნელა დაეშვება მწუხრი მკელობლად რადგანაც მუდამ ასე იყო - მწუხრი მწუხრია. რაც უნდა მოხდეს - მიტოვება ან განტეგება, საღამო მაინც გადასერავს მყუდრო მაცვლოვანს, გაიფანტება ნათლის სვეტი, აიმიტვერება და აკრეფს მწუხრსაც, ხევში ერთხანს რომ დააყოვნა. ქალაქის ახლოს ჩრდილოვანი ვიწრო ტრასაა, აქ ტყისპირებთან, საღამოთა მსუბუქ ტიხართან მწუხრმა ფრთა დიდი ფრინველივით გაასავსავა და მერე იქვე ჩაიკეცა და ჩაიხაფრა. სახლი დგას, იქ კი ოთახები სიმარტოვეთი არის ნაფენი, ჩამავალ შუქს რომ დაუღვრია, ეს სოფელია ორბეთი ან დიდი თონეთი და იქ ცარიელ ოთახებში ახლა მწუხრია...

ოთახი

როგორ იბუდებს ამ ბინაში სიცარიელე, რაც შენ დატოვე სამუდამოდ ეს ოთახები, და დღის სინათლე იატაკზე როცა იელვებს, სხვა რამეს ამბობს, ამ სივრციდან რაც შენ გახვედი. სიჩუმეს იკრეფს ყველა ნივთი - ბზა თუ რვეული, მარადისობა თითქოს ინყობს თავის საბუდარს მთრთოლვარე ხელით, და არ უნდა რომ ჩირვეული იყოს, ამიტომ ჭკვიანურად ქსოვს აბლაბუდას. და ეს ოდნავი მოძრაობა აღარ დამთავრდა, ითრეფს ამ ოთახს და ედება სხვა ოთახებსაც და მთელი ბინა დაიკავა უკვე თანდათან, არ შეიძლება რომ ის იყოს სადმე ნახევრად.

ერთი დღე

ერთი უბრალო ზაფხულის დღეა, არც არხენი, არც საშინელი, მე კარებს ვაღებ და ოდნავ ველავ და მერე ისევ ისე ვმშვიდდები. რატომ ჩამესმა ნეტავ კაკუნის მოკრძალებული და უცაბედი, ანდა ეს ხვედრი ვიღამ მარგუნა, ფიქრში რომ წლების მიღმა წავედი. ნავედი, უკან ვედარ ვბრუნდები, მზიანი დღეა, მაგრამ ბილიკი აღარსად არის და გამუდმებით გზას კი ვერ ვაგნებ, ვკარგავ, პირიქით. ჩვეულებრივი ზაფხულის დღეა, გამომაფხიზლა კარზე კაკუნმა, და მივირბინე კარებთან ხელად მე წლების მიღმა გზადაკარგულმა; გავაღე კარი და ჩემი ჩრდილი გადამტვრეული ეგდო კარებთან, და იმ წლებიდან მოღწეულ ჩივილს ქარი კედლებზე აკაკანკალებდა.

წვიმის ხმა

გამთენიისას გარეთ წვიმა გაიშრიალებს, წვიმაა თითქოს ამ ცხოვრების წყნარი ანბანი, და მეც შემარხვეს ეს წვიმის ხმა, ისიც შინ არის წარსულთან ერთად და მე ვგავარ წვიმით განბანილს. თითქოს ტვირთივით დავატარებ ამ მახსოვრობას, მახსოვრობა და წვიმის წვეთი, წვიმის ციმციმი, წარსულის მერე ეს შრიალი ჩემში ცხოვრობდა, მაგრამ ახლა კი შემომანვა ჩუმი სიმძიმით...

ცოდვები

მე სხვაგვარად მეგონა, მაგრამ თურმე ასეა, რას იზამ თურმე, თუნდაც ვიცინოთ, თუნდაც ვინანოთ, აქ ყველა ნანობს საკუთარ ცოდვებს, მაგრამ სინანულს რა შეუძლია.

წავიდეთ, უხმოდ ვიხეტიალოთ.

მე შენზე ვფიქრობ, მე მეფიქრება, არ გინდოდა შენი ცოდვები, არ გინდოდა და შენ მაღავდი, გაურბოდი შენსავე ცოდვებს, მახსოვრობას, სინანულს, სინდისს შეშინებული მიწას აყრიდი, რომ ყველა კვალი გადაგერეცხა, მაგრამ ცოდვები თვითონ გექმდნენ, თვითონ გექმდნენ და გაოულობდნენ და შენც ელოდი მათთან შეხვედრას.

წავიდეთ, უხმოდ ვიხეტიალოთ.

ჩვენ თავს ვერსად ვერ გავეცქევით, თუნდაც ვიცინოთ, თუნდაც ვინანოთ,

ნირს არ შეიცვლის მაინც ცხოვრება, რადგან ეს უკვე ბევრჯერ მომხდარა; და იქაც, სადაც კვიპაროსები მკერდს იხოკავენ და შრიალევენ, სადაც პარტახი საფლავებია, უკვე ჩამქრალი ცოდვები ყრია მიწის სიღრმეში რუხი ფერფლივით.

წავიდეთ, უხმოდ ვიხეტიალოთ.

იქ, სოლოლაკში როცა ღამდება, მე მივაკითხავ სადარბაზოებს, ჩემი ბავშვობის სადარბაზოებს, ზემოთ კი ქედზე, ცარიელ ქედზე ელნათურები ინყებენ ციმციმს; ისინი გვანან ადამიანებს თავის ცოდვებს რომ ვერსად გაექცნენ და სინანულით რომ ანათებენ...

გედიღალი

ჩემი და შენი ბედიღალი ხომ იყო ისე, როგორც ძველი ტანსაცმელი ძველ საკიდარზე. ჩემი და შენი ბედიღალი, რომლის გამოც მწარე, წყალწყალია ღვინოსაც ვსვამდით. ჩემი და შენი მახსოვს შენი ველოსიპედი, შენს ცარიელ აივანზე აყუდებულთ. ეს იყო შენი სინანული, შენი ნაღველი. მაგ ნაწვიმარ აივანზე. ჩემი და შენი ბედიღალი თითქოს ზიარი და მაინც ასე გაყოფილი. ეს ბედიღალი...

ტალღა

თავზე გადამდის მაღალი ტალღა, წყალში ვირწვევი ისე ვით ქვები, და არ მივინე ვსხულით მაღლა, არამედ ნელა ვეშვები ქვევით. წყალივით მძიმე მანვება წლები, ზემოთ კი კვეთენ სივრცეს ჩიტები, მე დაქანცული ღრმა ფსკერზე ვწვები. და ფარღალაა ხავსს ვეჭიდები.

უცხო

თამაზ ჩხენკელის ხსოვნას

ეს როგორ ჩაქრა შენი სინათლე, ეს როგორ ჩაქრა უხმოდ ჭალივით, მხოლოდ ახლა ხარ შენ ყველასაგან შორს გარიყული და გადაღლილი. შორს გარიყული და გადაღლილი და სულ სხვა მხარეს გადაფერდილი, და ზის სიკვდილი შენს კიდობანზე სხვა მხრიდან მოსულ უცხო მტრედივით.

სამხილი

ო, როგორ სდუმან ღამით ქუჩები და ეს დუმილი არის ძახილი, და ეს დუმილი მე მეუწრება, ის არის შენი ცოდვის სამხილი. სავსეა ღამის სივრცე ბოდვებით, სიზმრებითა და ხელისცეცებით, მაგრამ გამოსხა ღამემ ცოდვები, ის, რაც არ ჩანს და რასაც ვეძებდი. და ეს დუმილი კვლავ მეუწრება, და თავის შიგნით ახლავს ძახილი, ხოლო ცოდვას კი ჰქვია მრუშობა და შენ თვითონ ხარ მისი სამხილი.

ხაეზი

ხეები ქვეყნად არავინ იცის. ზოგი ხე კი დგას როგორც საპყარი. იქნებ ის არის გზაშესაყარი და გადაკვეთა ცისა და მიწის, ხეები ქვეყნად არავინ იცის.

ელნათურებს

ელნათურებო! რომ იცოდეთ ნათება თქვენი იყო ამ ჩემი წარმავალი ცხოვრების ძღვენი. ერთად მრავალი მაღლობები გადავიარეთ და მეც დაგმორდით როგორც წასულ ადამიანებს. თქვენთან ვიყავი, მაგრამ მერე თქვენგან წავედი და კვლავ თქვენთან ვარ დაქანცული და ნაწამები. ელნათურებო! თრიალეთზე ახლაც მშუქარი რატომ მეღვლივით როგორც ძღვენი და საჩუქარი.

ქვაფენილებზე თქვენი შუქი მოუსყიდველი დაფენილია ფარდაგივით ყველგან ყვითელი. ელნათურებო! რატომ ჰგავხართ ასე ჯვარცმულებს, რომლებმაც უკვე რახანია სხვაგან გაცურეს...

ბოლთისცეპელი ქალი

ნ-ს ხსოვნას

იქნებ ცხოვრება წარამარა ბოლთის ცემაა, იქნებ ისინი სცემენ ბოლთას - ყველაზე უფრო ტანჯულნი და მარტომყოფები? ამ ცხოვრებაში, სადაც ამდენი რამე არის, წინ და უკან სიარული ბნელ დერეფანში...

ასეთი იყო შენი ყოფნა ამქვეყნიური, ზოგჯერ ფანდურს ჩამოკრავდი და გულს აყოლებდი, ზოგჯერ კი ტაშს შემოჰკრავდი, ლანდებს აფრთხობდი, ზოგჯერ ინეკი თვალღია და ჭერს აჰყურებდი, ნეტავ მანდ თუ არის რამე დარდის მომგვრელი? ან ეს შენი ფანდური თუ მოისაკლისე? ნეტავ მანდ თუ წარმოგიტევამს ეს სიტყვა ‘შვილო’ ამ ცხოვრებისკენ რომ გიხმობდა გაუთავებლად.

‘ახლა დღეა თუ ღამეა, მითხარი, შვილო, იქნებ წამოვდგე, ბოლთა დავცე, მითხარი, შვილო, და თუ ღამეა, მე სადღა ვარ, მითხარი, შვილო.’

პოეტი

ვ.პ.-ს ხსოვნას

ქუჩაში მთვრალი პოეტი ყვირის და შინისაკენ მიემართება, მას ცხოვრებაზე წამოსცდა ძვირი და ახლა ელის ღამის გათევა. ქუჩაში მთვრალი პოეტი ტირის, მისი ლექსები არის ყვირილი, თვითონ ქუჩა კი გამტყდარი წკირი - ნაწვიმარია და თან ირბი. ქუჩაში მთვრალი პოეტი ყვირის, სხვა პოეტების არ არის მსგავსი, მას ცხოვრებაზე წამოსცდა ძვირი და ამით უკვე გატეხა ნავსი. ქუჩაში მთვრალი პოეტი ტირის და ეძებს თავის სახლსა და ბინას, მან ძილ-ღვიძილთან შეიკრა პირი და ვინც მას ელის, იმასაც სძინავს.

სად წავიდნა

ასე დარჩება შენი წარსული სადღაც დაღვრილი ბუჩქთან სისხლივით, რატომ იხსენებ ახლა ყველაფერს და რატომ გადევს ფერი ისრიმის. ვინც აქ არ არის, ის სად წავიდა ან სად წავიდნენ სხვებიც, ისინიც.

ვარაზისხევი

ჩამოცურდება ქვაფენილზე ჩრდილი იოლად, ვარაზისხევიში საღამო წვება, ჩემი შემლილი სიყვარული აქ დადიოდა და აქ ახლიდა ფილაქანს კეფას.

ცარიელ ტაძარში

როცა შემოვა ნაშუალამევს ჯარი, ქალაქში, სადაც სძინავთ უცოდველ ბავშვებს, აზრიალდება თმებით შეკრული ჯვარი ტაძრის წყვილადი და ვერ იპოვის საშველს. უძველეს თმებზე გადაიელვებს შუქი, სასანთლეებთან დაიკარგება წამსვე და დაედება წინათგრძნობათა ლუქი წყვილს ზრიალით და სინანულით სავსეს. როცა შემოვა ნაშუალამევს ჯარი, როცა დაამტვრევს ვიტრინებსა და დახლებს, მკაცრად იდგება თმებით შეკრული ჯვარი ტაძრის წყვილადში და არ გაგანდობს ნაღველს. როცა შემოვა ნაშუალამევს ჯარი და მოაყენებს მუზარადიან ჯალათს, როცა შემოვა ნაშუალამევს ჯარი, როცა სიკვდილის დატრიალდება ჯარა. უძველეს თმებზე გადაიელვებს შუქი და შეირხევა წყვიადი, როგორც მრევლი, მრევლი, რომელსაც აღარაფერი უკვირს და აღარა აქვს ერთი კურცხალი ცრემლი.

გაქცევა

გინდა ტყეებზე აილო გეში, სანამ ხანძარი შემოდგომის სულ არ ჩამქრალა, გახვიდე აქვე, ნავკისის ტყეში, თვალი შეავლო ტყისპირებზე ბოლოქანქარას...

„წინდახედულად მოვიქეცი და უკან- მოუხედავად გავიქეცი“ — მლეროდა ზან- გი და უკრავდა.



ადებული, თუ ჩემს დაბადებამდეც ასე იყო?

როცა სიმღერას უკრავს ზანგი, ის შეი- ძლება იყოს ზანგური, მაგრამ თუ უკრავს ჩანგი, ის არ არის ჩანგური, და მითუმეტეს თუ ჩემი მეზობელი, წინაპრებით მიდიელი ფანდი უკრავს, ის ვერ იქნება ფანდური...”

რას ჯღაბნით, ჟანა მასწავლებელი დამადგა, მე კონსტანტინეს დიდოსტატის ანალიზი დაგავალეთ შენ რას ჯღაბ- ნით. დიდოსტატამდე ამ გზით უფრო მალე მივალ—მეთქი. ახლა დავნერ, „მაგრამ როდესაც უკრავს გამსახურდია, ეს სულ გამსახურდიაა და როდესაც დი- დოსტატი უკრავს, ეს ხომ ყოველთვის ძალიან დიდოსტატურია...“ და ეგვიც შესავალი-მეთქი. რას ნიშნავს, გამსახურ- დია უკრავსო, გაგიჟდა ჟანა მასწავლებე- ლი, დამკვრელები მენსკენ მოიკითხეო. მოკითხვა ჩემკენ, დამკვრელებო, ჟანას- გან! კი ბატონო, ჯღაბნით, ნავიდა ბოლოს გაბუჭებო და მივხვდი, რომ მასწავლე- ბელთა შურისძიების ყველაზე ბალის- ტიკური იარაღი, ორიანი დამიძინა.

შევიცდი — ორიანი პლიუსით დამინ- ერა. ზედმეტად კვიმად ქართულს ეთა- მაშებით, ფრთხილად იყავიო. ორიანი ჰე, გამოვიმუშავე, მაგრამ ეს პლიუსი რალაში მეკუთვნის—მეთქი და კვიმატობებშიო.

გამხდარო მგელივით დავბრუნდი სახ- ლში და ვისადილე მარცხენაში ჩანგლით და მარჯვენაში ტელევიზორის პულტით. ყველა არსს ერთად ვუყურე. სადარბაზო- ში შემოვსულს ჩემი ორი, წინაპრებით რუს- -ქართველი მეზობელი ნამგზავნა. ერთი პირველ სართულზე ცხოვრობს და მეორე ალბათ ლიფტში. სულ ლიფტშია. ხან გაჭედლია, ხან ცდილობს, რომ გა- ყუფდეს. ლიფტთან დაშორდნენ ერთმა- ნეთს და დაშორებისას იმან მოაძახა ამას: — ზავტრა ჭიკარტი ნე ზაბუძ! — მა- ინცდამაინც „ჭიკარტი“ ვერ გადათარგმ- ნა. ზაბუა ჰყავდა კავთისხეველი, ბებია — კრივოი როგელი. ორივე რომ კავთისხევე- ლი ჰყოლოდა, უპრობლეოდ იტყოდა სუფთა ქართულით: „ხვალ კნობკები არ დაგავინყდეს“, როგორც ამბობს სრული- ად საქართველო.

ამან უპასუხა ნოუ ფრანსუაზი და ერთი ლიფტში შექრა, მეორე — მესამე მეზო- ბელთან, ახლა ყავამ ახარჯინე კიდე ფუ- ლი.

მე არ ვლაპარაკობ ყველაზე კვიმატ ქართულს, ჟანა მასწავლებელი! ვიბოლმე- ბი... მამმწვიდნა ბებჩის გაბრანული კარტოფილი და პულტის ნკაპ-ნკაპი.

ბებია, როგორ წვავ ასე გემრიელად კარტოფილს, ტო!

როგორა შვილი და ტაფა ჯერ უნდა მოატყუო, — სულით-გულით ამიხსნა ბებჩემ — მაგრამ უნდა გააცხელო, მაგრამ არ უნდა შეიმჩნიო, ვითომ არ გაციცხ- ელბნა და კარტოფილი ზედ ისე უნდა დაჰყარო, რო ვერ გაიგოს!

მე ხო გავიგე, აი! — ეგ კარგია, შენც თუ ვერ გაიგე, აბა, ტაფა რალას გაიგებს! მერე მოსარევათ რომ მოხდი სახურავს, ცოტა უნდა გვერდზე გადახარო, რომ კარტოფილმა ტაში დაგიკრას.

რამდენი გვიცეკვია კარტოფილის დაკრულ ტაშზე, არა, სარგისოვანა? — გა- იარ-გამოიარა მამჩემ, რატომღაც მიდი- მოდიოდა.

არა, კარტოფილი უხმენოა, ვერ იცეკვებ. ფელამაშუბია სმენიანი და ნისქილი!

ვახ, როგორ ავანკაპნკაპე პულტი — სმენიანი ფელამაშუბი და ნისქილიო — გა- დავიარე არხებზე! აბა, აქ ნახე უურნალ- ისტების კვიმატობები, ჟანა მასწ. ნკაპ! და ბუშის პირიფონებამ ყოველგვარ მოლოდ- ინს გადააჭარბა, ნკაპ! და ამოღებულია ყუმბარები და მძიმე დანაშაულის ჩად- ენისთვის სასურველი და აუცილებელი სხვა ატრიბუტები, აბა, ნკაპან! და შესა- ძლოა რომელიმე ინგლისის სხვა გუნდამაც იასპარეზოს, აქ კი საცხოვრებლად ალმოქნილ იქნა ტარაქნების გარკვეული რაოდენო- ბა, იქ მოხდა ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლის ხმა, მაგრამ საბედნიეროდ მსხ- ვერპლს ადგილი არ ჰქონია, ხოლო დამ- ნაშავეს აღმოაჩნდა თხუთმეტი შეკვრა ყალბი დოლარიანების პაჩკა, ახლა კი პირდაპირ ეთერში შემოგვავაზებთ, თუ როგორ გამოიყურება ხანძარი, ნკაპ-ნკაპ! თბილისის მიმართულებით და ზედმეტად ხაშურის მიმართულებით მოძრავი მერსედესის ტიპის მსუბუქი ავტომანქანა და აი, რას ამბობს ამის შესახებ ან დღეს- დღეობით უკვე გარდაცვლილი თუფაქი, ხოლო პედაგოგი ყოველდღე 7 კილო- მეტრს ფეხით დადიოდა, მთელი ცხოვრე- ბა ემსახურა მომადვილი თაობის აღზრდის საქმეს და წარმოადგინეთ, ამას აკეთებდა ფეხით! — მამა, ქვეყანაში საყოველთაო ჯიგ- ჯიგიზაციის თხუთმეტწლეულია გამოცხ-

— არა, ოცდათექვსმეტწლეულია გამოცხადებული და ჩემს დაბადებამდე როგორ იყო, აგერ სარგისოვანას ემახს- ივრებო.

— ალარ მახსოვს, კოლექტივიზაცია რომ იყო, მახსოვს და ჯიგჯიგიზაცია, რაეიც, ალბათ ძალიან პატარა ვიყავი.

— ეგ რა არის, დილით ერთმა გოგო- ნამყვანმა გვითხრა, მე ერთი კვირით გემ- ვიდობებით და მანამდე კი თქვენ გაი- ლიმეთო.

— მერედა, შვილო, შენც გაიღიმე, მაგ- აზე ახვეწნიხები? — გაიოცა ბებია.

— როგორ, სარგისოვანა, ერთკვირი- ანი გაღიმებისთვის კომპარაჩიკოსებს სპე- ციალური ქოთანები ქონდათ, მე სად მაქ ეგეთი ქოთანი?

— ლობიოსი ხო გვაქ!

— გუშინ საღამოს პოლიციელმა იცი რა გამოაცხადა? მოხდა თვითმკვლელო- ბის მცდელობა მ ჰემთხვევა და აქედან ორმა სასურველ შედეგს ვერ მიაღწიაო, შემოსული ოპერატიული მასალის საფუძ- ველზე მოხდა ოპერატიულად თვითმკვე- ლელობაში ჩარევა, სარგისოვანა, და თვითმკვლელობის დროული აღკვეთა. ანალოგიურად მოიტქა კიდევ ჰ მო- ქალაქეო.

— ანალოგიურად როგორ?

— ეგ ალარ ვიცი.

— მაგანა თქვა ერთი კვირით გაიღიმე- თო? შვილებო, რა დღეში მყავხართ!

ყველაფერს გეფიცები, ქვეყანაში, სა- დაც სასურველი შედეგი თვითმკვლელო- ბა და იმასაც ვერ მიაღწევ, სადაც ოქ- ტომბერში ნორმაზე მეტი ნალექური წვი- მა და მწყრული მოვლენები დაფიქსირ- და, სადაც ექვთიმეილი დევისი შედეგად გარდაიცვალა და ჩვენ ნახევარი თავი ჰედა ენდ მოღდერსით უნდა დავიბანოთ, ხოლო მეორე ნახევარი სხვა მამულებით, ჟანა მასწ, გეფიცები, მე არ ვლაპარაკობ ყველაზე კვიმატ ქართულს და ის პლიუსი რატომღაც დამინერე, ორიანი არ მეყოფო- და?

— დღეს, ხო იცი, საავადმყოფოდან ფეხი დაიკარგა, — მანუგეშა მამაჩემმა. შევიხედე.

— ამპუტირებული ფეხი. სანიტარულ- მა სამსახურმა იკითხა, ერთი ფეხი გვაკ- ლია და სად წავიდაო. ექიმმა უთხრა, არ- სად არ წავიდაო, შესაძლოა პატრონ- მა წაიღო და დაკრძალაო, პაციენტს უფლება აქვს ნაილოს კიდური და დაკრძა- ლოსო. არა, ნამდვილად ღირს ქართული არხების ყურება. იცი, რას მივხვდი? ის პაციენტიც ხომ ამპუტირებულია ფეხის- გან.

— ბებია, ახლობლის ფეხი ხომ არ იყო, დაკრძალვაზე მისასვლელი არ ვართ?

— მისასვლელი ვართ და ყვავილის ფესვი გვაქ მისატანი, — თქვა მამამ.

— აგრე შავათ ნუ ხუმრობთ, შვილე- ბო, ღმერთი შეიჭმუნება თქვენზე.

— რავი, რამდენ დაკრძალვას გაიგო- ნებ, ჩვენი ახლობელიაო, გარბიხარ.

ღმერთზე უფრო შეჭმუნული დამხვ- და ებოში ჩემი მეზობელი ფანდი. დღისით აიძულდნენ შვილიშვილი და წინილები ასეინროს, ღამით ნებაყოფლობით ჩა- ჯდება ბურქებში და ქეიფობს და მღერის. მე მივუახლოვდი ჩემი ფიქრების ღრუ- ბლით და ამ ღრუბელში გახვეულს მელან- დებოდა სადღაც იმ უსმენი კარტოფილის დაკრულ ტაშზე მოცეკვავე ამპუტირებუ- ლი ფეხი, რომელიც პატრონს არ ნაუღია, და ყვავილის ფესვს რატომ ამზადებს მამაჩემი?

— ფანდი ბიძია, ქვეყანაში საყოველ- თაო კვიმატიზაციაა გამოცხადებული. იცოდით?

— როგორა, შვილო? სადარბაზოდან ის რუს-ქართველა მეზობელი გამოვიდა, ჭიკარტები რომ ვერ გადათარგმნა.

— ვა, ალიონა, რა მარტო ხარ, ლიზა სად არის? — გაიოცა ფანდი, თუ ფანდ- მა?

— ლიფტშია გაჩედილი, ქსოვს. xმ ბმ äáèàð ù. í òññàí ù! — უყვირა თავისი ექვსი

ნინო გუგეშაშვილი

ენაი კვიმატი (ერთი დღე)

წლის ბიჭუნას, რომელიც ფანდის ნი- ნილებს დაედევნა, — არ აილო წინილი! ფანდიმ მშვიდად თქვა:

— არაუშავს, აილოს, ოღონდ მერე ისევ დადოს.

— ნავედი, — ვთქვი მე, — რა საყვარე- ლი ბავშვია! — ფანდის შვილიშვილმა მოირბინა.

— ბაბუა, კოლოები სახლებს სად იკეთებენ?

— ეგემი სახლებს არ იკეთებენ, სას- ტუმროებში ცხოვრობენ.

გზაში წარმოვიდგინე სასტუმროში მცხოვრები კოლოები, რომლებიც კარტო- ფილის დაკრულ ტაშზე ცეკვავენ უსმენო- დ... გაჩერებაზე სამარმურტო ტაქსი იდგა და ტრაფარეტზე ეწერა:

დ ი ნ ა მ ო
თ ა ვ ი ს ფ ლ ე ბ ი ს
ც ი ხ ე ე ბ ი

რა თქმა უნდა, ჩავჯექი. მძღოლმა სარკიდან მიტხა: „გავივსე?“ „კი, კი, გაივსე!“, ილადაღეს მგზავრებმა — თბი- ლისში რომ ცოფი სიცხე იცის ხოლმე, ისე ცხელოდა. მივიხედ—მოვიხედე და ჩემი მარცხენა მეზობლის გაშლილი გაზეთის გვერდზე სათაური ნაწიკითხე: „თაკო სვირინგს განსაკუთრებულ დღეებში აჩენს“, ხოლო მარჯვენა მეზობელ გოგოს ოთხი ბარძაყი ჰქონდა და ოთხივეთი მა- ვინროვებდა.

— საქმიანი ქალი? ჯვარი მენეროს! — დაქალს ეჭორავებოდა, — პროსტა ისიც კი მიტყდება, რო ბოლო-ბოლო ოცდაექვ- სი წლის ქალი ვარ და ჯერ მარტო პირვე- ლად ვარ გათხოვილი.

— გათხოვილი ახლა შენც, — არ აცა- ლა დაქალმა, არ აცლიდნენ ერთმანეთს, ერთნაირად ალეხილი იყვნენ ლაპარაკზე, — გათხოვიდი, ჰე, გათხოვიდი, მარა ადამა- ანზე ვერ გათხოვიდი? შენი ქმრის საშუა- ლო არითმეტიკული ხო იცი, არა? ეგ არის კაცი ცხროსებრთა ოჯახიდან.

— ცხოველია, გოგო, გადამეკიდა გუ- შინ, ოთხშაბათი მეტია თუ ხუთშაბათიო. მე ვუთხარი, ხუთშაბათი-მეთქი. აბა, მა- შინ ხუთშაბათი მეტია, თუ პარასკევიო. პარასკევი რამდენია-მეთქი? რამდენიც ახლა შენ მოგხვდებოდა და რო წამოავლო იმ თავის უჩაკობებს თუ უჩიკობებს ხელი, რა ქვია... პარასკევი რამდენია, გოგო, შენ გეცოდინება.

— ბევრია, ხუთშაბათზე მეტი ნაღდად არის, ცხრა პარასკევიაო კვირაში, ხო გავიგია...

მე წარმოვიდგინე კაცი ღორისებრთა ოჯახიდან, რომელიც სასტუმროში კარტოფილის დაკრულ ტაშზე კოლოებ- თან და ოთხბარძაყიან გოგოსთან ერთად ცეკვავს და ეს ისეთი განსაკუთრებული დღეა, პარასკევია ბევრია, რომ თიკოც ალბათ სვირინგს გამოაჩენს და ოთხ- ბარძაყიანი გოგოს ქმარი იკითხავს: აქ ბარძაყები მეტია, თუ პარასკევი?..

ბაზრობაზე ჩამოვიდა — კვიმატობათა ეპიცენტრში, აქ ჟანა მასწავლებელთან ერთად უნდა წამოვიდე, როცა დაფსაზე- ლი კაცი გავხვდები. მაშინვე ქალმა ჩამი- არა მუყაის დიდი ყუთით ხელში. იძახდა და იძახდა: „აბა, კარგი გაყენული თევზი თავისი ბარკლებით“ და კარგახანს ვდიე, რომ ეს საოცრება დამენახა. ძლიერ წამ- იოვნეიდ და ეს თევზი და ეს კიდე ფანდის ბარკლებო, ცალკე-ცალკე ცელოვნები გადამიშალა... იმედი იმდენად გამიცრუ- ვდა, რომ ნაყინის ყიდვა მიწოდდა და ბამ- ბის ნაყინი ვიყიდე. ამ ბამბის ნაყინში ჩავრეე თავი ბავშვობისდროინდელი პირ- ველყოფილი მნიშვნელობების გასახსენე- ზლად, როცა ნიცი წინწავს ნივთს და სიტყა წინწავს სიტყვას და ერთი-ერთზეა მნიშვნელობა სიტყვის და ნივთის. უცებ ხალხში დავინახე ბიჭი, რომელიც აქ მაი- კის საყიდლადაა მოსული, მაგრამ თავი ჩაურგავს ბამბის ნაყინში და დადის და დადის და მივხვდი, რომ ეს ბიჭი მე ვარ. სასწრაფოდ შევჭამე ბამბის ნაყინი და ამა- სობაში კიდევ მომწონასავით ერთი მაი- კა, მაგრამ მომეჩვენა, რომ უხარისხოა და მალე დაბუსუსდებდა.

— სადაური მაიკაა? — ვკითხე გამყიდ- ველს.

— თურქეთი. უმაღლესი საქონელი მაქ, სულ ნაღდი თურქეთები.

— ეს მაიკა თითქოს ადვილად დაბუ- სუსდება...

— რა, თურქეთი?! — თვალი მომინე- რილა გადამედევნა, — უკაცრავად, თურ- ქეთი არ ბუსუსდება საერთოდ, ეგ ჩინეთი ბუსუსდება.

დარცხენილი წამოვიდე, ჟანა მასწ.



გეოგრაფიაშიც ნორმალური ნიშნები მაქვს და ისტორიაშიც. ეგ არ უნდა მცოდ- ნოდა ამხელა, როგორც თქვენ სიყვარუ- ლით გვეძახით, ჯორ-აბიტურიენტს, რომ თურქეთი არ ბუსუსდება და პირიქით, ჩინეთი ბუსუსდება? სულ გავიბუტე და წარმოვიდგინე კოლოების სასტუმროში ფელამაშუბის დაკრულ ტაშზე მოცეკვავე დაბუსუსებული ჩინეთი და თევზი თავისი ბარკლებით. მეც იმ სასტუმროში ვცხო- ვრობ და დავბრუნებ კოლოსავით ქურ- დულად უკან ნაღებულ ხელში სიგარეტით და ახალი იმპორტული ბოტასებით, რომ- ლებიც ნაღდი ქუთასივითა და თავზე მახ- ურავს ნამუსის ქუდი, რომელიც ნაღდი დუბაია და მივისწრაფი სინგაპურისკენ, რომელიც დასავლეთზე უფრო დასავლე- თია და ერთ დღეში სამ დღეს ვცხოვრობ. გადავიარე გადასასვლელი ხიდი, შემომხ- ვდა თამაზა, რომელსაც ძალიან კენიანი ცხვირის გამო დიდგორა ქვია და ერთად ნავედით სუპერხინკალციენტში. მერე გავედი ქართული როკის ასოციაციამში, სადაც დიდგორას წინაღობით ფანდური და სალამური დარჩა ჰამბოში თობის მყარ ნიადაგზე, გამბოლეს ამ ბოლიშ- ვილებმაო, მერე გავედი ერთი მსახიო- ბის თეატრში, სადაც დიდგორას ერთ- ერთი მსახიობის ნახვა უნდოდა — თავისი პიესის დადგმაზე უნდა დალაპარაკებო- და, მაგრამ ერთი მსახიობის თეატრის მთელი დასი საგასტროლოდ იყო წასული, მერე რაჭულ ბისტროში კაი ყავააო დიდგორამ და იქ დავლიეთ ყავა „ყაზბე- გი“, მერე ორი კათხა ლუდი მოატანინა, არ მინდა-მეთქი ლუდი. როგორ, ქართვე- ლი ქალიშვილები პატარასნეულებს სა- დღეგრძელო არ დავლივით? შეეყარე- ბულზე იყო ნაწყინი. ფეხზე წამოვადე და ისე დალია ქართველი ქალიშვილების პა- ტარასნეულებს სადღეგრძელო, მთელ კლიენტგამოხშირულ დარბაზს მიმართა. მე შეეყარებულზე არ ვიყავი ნაწყინი და არც რომელიმე ეროვნების ქალიშვილზე. მეორე ტოლწა ლუდით — მოდი, ჩვენწა და ზარმამაცი ხალხი არ არსებობს და ზარმამაცი ქართველები დავლოცოთო. როგორი-მეთქი? ზარმამაციო. ჩემი და შენი თამაობით ზარმამაც ხალხს გაუმარჯოსო.

— შენით იგონებ ასეთ სიტყვებს? პა- ტარასნეულება, ბოლიშვილები... — ვკითხე.

— არა, შალვა ახალციხელი მასწავ- ლის.

— ვაა! სიზმარში გეცხადება? გმი- რი?! და სიტყვებს გაკარნახობს?!

— არა, რა გმირი, ბასისტი შალვა ხმა- ლაძე ხო იცი, ახალციხელია წარმოშობით, ისე დელისიელი ბიჭია, რაღაც პონტიმ გმირიც კია...

მე დიდგორას შევივლე, თავს ძალიან უცნაურად ვგრძობ-მეთქი, სიტყვების კონფლიქტისგან რალაც გულიწრევისნაი- რი მჭირს-მეთქი და ხომ არ იცი, შედიცი- ნაში რა ქვია სტენდალის სინდრომს კვი- მატობათა ძეგლებთან მიმართებაში-მეთ- ქი. ეკლესიაში უნდა იაროო, დიდგორამ, შენი სახელობის ხატი უნდა შეიძინოო და ნამიყვანა მალაზიაში „ხატები ბითუმად“ და მაყიდინა დავით აღმაშენებლის ხატი. ვაფშე დუშენათ გაუბერეო, დიდგორა მარწმუნებდა, ბევრი უნდა ილიცოო და მოსაწევი თუ იჩალიჩო, დამირეკეო. ელექ- ტროფანდურს ვაკეთებ და დისტორშენი მაგრად მიდის მოსაწევე და ელექტრო- ფანდურზეო. ვაფშე დუშენათ გაუბერეო თუ ვაბუშე დუხოვანთ-მეთქი? სულ ერ- თიაო. მე ვიციოდი, რომ არ იყო სულერთი, მაგრამ რა განსხვავება იყო, მაგის დაჭ- ერა ასე გადალოდეს არ შემელოდა და ამის- გან უეცრად კიდევ ერთი დღის დაღლი- ლობით ერთბაშად დავიდალე. ასე დაღ- ლილი მე და სრულიად დასვენებული დიდგორა ამასობაში ერთ დიდ, ძალიან გაპრიალებულ რაღაც ოფისში აღმოვჩნ- დით, რომელსაც გარედან ეწერა „ელიტ ფეშენ მოდელ გლაშურ“. ამ ფრაზას თვალთ ისე გავყვი, როგორც ოთხუც- ნობიან განტოლებას, რომელიც საგამოც- დო ბილეთში ამომივიდა და აღარ ვიცი, გამიხარდეს თუ მენყინოს. აი, როცა თითქოს ყველაფერი იცი, მაგრამ საბ-

ROMANI

დილა — გახურებულ ბაჯალლოს მონეტას
სხეულზე იმანთავს,
ცხელა ფერდობებზე, ვარდის და გვირილის
ვიკეთებ სამკლავურს.
მინდვრებს დაგეშილი ძალივით მივყვებით,
ბანაკი ბოშათა
სილაგარტყმულივით ტოვებს ამ ქალაქს
და გზა-სავალს იმოკლებს.

ხელზე ნამკითხავებ, გვალვისგან
გადამწვარ ველებზე ვჩერდებით,
მზერას ვიწრდილავე და...
ვითომ უდარდელი, ყალიონს ვაბოლებ.
მთელი დედამინა,
ჩახსნილი კარვიდან სიყვარულნაჩვევი
ქალივით ინვის და კოცონთან
ალივით ჩურჩულებს სიბნელე.

ფრთხილად, ხაფანგია!
თვალებს დავინწყების სურვილით ვაეღვებ,
ფეხზე მკიდია თუ დანისლულ განთიადს
ვერ ვმალავ სამოსში,
მოსჩანს გაბზარული ჭიქიდან გზა-ხაზი —
ცხოვრების სამელნე,
ქალი კრიალოსანს კარვის მისადგომთან
თმასავით ჩამოშლის.

დასწყველოს გამჩენმა, ეს მინა შენსავით ცხელია,
ცხელია,
მზერას ვიწრდილავე და...
ისევ უდარდელად ვაბოლებ ყალიონს,
გაღმა ქალაქს სძინავს, ათასი ჭორით და
ტკივილით ნამეხარს,
აქ კი ნაკვერჩხალზე ცეცხლის ენასავით
სიფხიზლე ყვავილობს.

ინვის ფერდობები, ჭრელი კაბასავით ტრიალებს,
ტრიალებს...
დილა — გახურებულ ბაჯალლოს მონეტას
სხეულზე იმანთავს,
სილაგარტყმულივით ვტოვებთ ამ ქალაქს
და გადაშლილ ტრამალზე
მინდვრებს დაგეშილი ძალივით მივყვება
ბანაკი ბოშათა.

ქუჩა

და მე მოვივიარ ამ ქუჩაზე. ნაბიჯით. ჩვეულ.
კორპუსებს შორის. გადახრებით. ნერვიულ. ოდნავ.
ჩემზე უკრავენ ელექტრონის ხაზები ჩელოს.
მგზავრები ყვითელ ავტობუსში ბოძდურს ბოდავენ.
ამბობენ:
ჩემზე გადადიან ეს მანქანები.
ამბობენ:
ჩემში გადის მეტრო. მინისქვეშ. მთელი
ჯოჯოხებით და ზურგის მხრიდან მომავალ ქარებს
სხეულში ვუშვებ და ქარიშხლის ზონას ვამთავრებ.
შემხედე როგორ გავიზარდე. რამხელა გავხდი.
როგორ გავბეგრდი. ირგვლივ როგორ შემოვიშენე
ეს გაბერილი ჰორიზონტი, ზეცის ნახვამდე
უსასრულობას რომ დაარქვა სიტყვა — სიმორე.

ახლა კი ვანგრევე, ვანგრევე ამ კორპუსებს. სახლებს.
ქალაქებს.
ახლა კი ვანგრევე, ვანგრევე ამ ჩემს ლექსებს. სტრიქონ-
აბზაცით.
და მაპატიე, რომ მაქმანი დაგილაქავე
ხომ გაგაფრთხილე:
— არ მომძებნო
ამ მისამართზე.

შენ ისევ აქ ხარ,
ისევ წინ და
ისევ ყველამხრივ,
და მე არ ვიცი როგორ შეგხვდე ხელებანეულს.
ამ რადიუსზე
ფარგალივით ამიხრიალდი
და ისევ უკან გამომთხოვე შენი სანევრო.
ერთხელაც ისევ ამ ქუჩაზე. ნაბიჯით. ჩვეულ.
კორპუსებს შორის. გადახრებით. გზა ნიაღვრდება.
უკრავენ ისევ ელექტრონის ხაზები ჩელოს
და ცაზე ჩნდება ცვალებადი მოღრუბლულობა.

მე აგურ-აგურ ვანგრევე ისევ. ქალაქებს. სახლებს.
ნათქვამ თუ სათქმელ ამ ლექსებსაც. სულ სტრიქონ-
სტრიქონ.
და შენი ჩემში ჩამარხული თეთრი სამარხი —
ჩემი ცისფერი კაბასავით
ინება თვითონ.

გზა

გზას ხელი არ ახლო.
ბეჭობთან მოჭრილი.
ჩემია.
ტერფიც კი არ დადგა ჩემს სავალ მიწაზე.
გაბრუნდი.
ინყება სიცოცხლე მარტივად. თავდაცვის ჩვევიდან.
მთავრდება რთულად და ერთხელაც ნაზამთრალ
ბინდბუნდში



კატო ჯავახიშვილი

ამ უცხო სილუეტს
უფერულს
უხორცოს
დალანდავ,
გახსოვდე, ქარი ვარ,
საქარე მინას რომ გიბზარავს.
ამტვერებს ამ ქუჩებს მდუმარე სიტყვების კალანდა.
ხეები იცვამენ ფურცლების ბალახონს. შემზარავ
ლამეში აბიჯებ, გგონია ინყება სივრცე და
არადა ამ წრეზე დადიხარ წრიულად. ისევე
მოქონილ ტუჩებზე ძველი ქატოსავით იცრება
ლიმილი — ბრჭყვიალა, ყალბი სამკაულის ბისერი.

მათ — ეს გაზაფხული ზამთარში უშვილოდ მიაგდეს.
მათ — ზღვების გადაღმა, ზურგის მოშიშვლებით იარეს.
მათ — ვინც ნეშომპალა იმ ძველი სახლიდან ნიადაგს
ველარ შეაშველეს —
გზები გაენელათ იარდად.

ის მგზავრს არ ეძებდეს, ვინც ვერ გადახარა თვალები.
ის გზას არ ეძებდეს, ვინც ბნელში თვალებს ვერ შეხედა.
დღე კადრს აცდენილი ქრონომეტრაჟივით მთავრდება
სხვის ზურგს შეკედლებულ, ჯიბეში ჩარჩენილ სახელთან.

თქვი, რომ ნაძალადევი ლიმილს სვირინგივით მალავდი.
თქვი, რომ კვალს მისდევდი, მაინც ვერ უსწრებდი
განვილილზე.
დაღეს მე არ ვიშენებ ჩემს ირგვლივ ციხეს და გალავანს.
ისეთი ჩუმი ვარ,
ისეთი ჩუმი და...
ნამდვილი.

გზას ხელი არ ახლო.
ბეჭობთან მოჭრილი.
ჩემია.
ტერფიც კი არ დადგა ჩემს სავალ მიწაზე.
გაბრუნდი.
ათჯერ გადაზომილ ცისფერ ჰორიზონტზე ჩნდებიან
ერთხელ გადაჭრილი სიტყვები.
საჩემო.
ბინდბუნდის.

აქ

აქ არ რჩებიან.
კაცობრიობა გაჩენის დღიდან
დაეძვება მიზეზს დასაბრუნებლად.
მე — შეიძლება ხეები მლიღინენ
და აღარ ვენდო არც ამ ბუნებას.

და დგება ის დროც,
როცა წყალი ისე წყნარდება,
ცარგვალნი ქაში ჩავარდნილი მზესავით მოსჩანს.
ჰორიზონტზე კი აფრებს მალა სწევენ გემები-
სავსეა სირჩა,
კოცონთან ნედლი ოცნებები იშრობენ ხელებს.
და მერე დილა ნაფოტივით იმტვერებს მუხლებზე
სუსტებს და...
ხმელებს.
ჩემია, რაც კი დარჩენილა ამ სანგრებს უკან,
კოკაში წყალი, წყალში ღვინო, ღვინოში სისხლი.
თმას გახედნილი ულაცოვით ბანრით მიკრავ და-
თავს კი
ვერ გიხრი.

აქ ვერ რჩებიან.
ადამიანებს ყოველთვის მოსწონთ
საკუთარ ფიქრთა უდაბნოება.
მე — შეიძლება გზა ვერ გავიგნო,
ან — არ მომიხდეს აქ დაბრუნება.

არაფერია,
თუკი ველარ ვამბობთ ვერაფერს.
ხორხიდან თუკი არ გვეზრდება ხავსივით სიტყვა.
ჩამაცვებს ნუხელ უცნაური ანაფორა და
სიკვდილსაც ვიტყვ.
ავაზაკივით გავეტყვივარ საკუთარ სხეულს.

თუ რამე დამრჩა დაცხრილული სანგრების მიღმა —
იმ ტკივილს ვგლოვობ
და დგება ის დროც,
როცა წყალი ისე წყნარდება,
ცარგვალნი ქაში ჩავარდნილი მზესავით მოსჩანს
ჩემს ჰორიზონტზე კი ტალღებზე წვანან გემები-
სავსეა სირჩა.

აქ არ ცოცხლობენ.
ადამიანებს ყოველთვის ახალ-
ახალ გზებს უთვლის ზევით განგება.
მე შეიძლება ცოცხალი ვიყო,
შენ კი
ვერც გრძნობდე ჩემს დაბრუნებას.

მორყევა

კალიების შემოსევაა.
ანუ ვიდრობ ფრთებიდან პეპლებს.
ჩემს უკან ღამე. ღობე-ღობე სივრცე მეჩხერი.
გაზაფხულობა დავაპირე — მატყლი დავკენტიე
და ბულულს ყელზე მაქმანების ზოლად ვიჩერებ.
მძიმედ დახურულ ქუთუთოსთან. კარებთან ცხადის.
სათაგურია. არ შეეხო. ძილი ყვავილობს.
ყოველ მომდევნო სტრიქონიდან დუმილს გიცხადებ,
რომ უჩემობამ სიკვდილამდე შეგიყოლიოს.
საგაზაფხულო შემონმება — ნათაგურებზე
თითო ნაბიჯის გადაცდენა — კბილი. სარძევე.
ყოველ მომდევნო უშენობას ვასათაურებ.
თითქოს სოროში სათითაო წლებად ვაძვრენდე.
აჰა, თავგო, ჩემი კბილი, მომე შენი რკინის კბილი.
აჰა, მზეო, ჩემი კბილი, მომე შენი ოქროს კბილი.
ნუთი-ნუთზე დანა-კბილი. ასხმა-ასხმა ნამი-ნამზე.
ჭია-ჭია მაპოვინე,
ჭია-ჭია ნანვიმარზე...
კალიების შემოსევაა.
ანუ ვიდრობ ფრთებიდან პეპლებს.
ჩემს უკან ბნელი. ღობე-ღობე სივრცე მეჩხერი.
დუმე ღამე როგორც უშენობის აკროპოლისი
და ჭიან სიზმრებს ფრთხილად აფენს
სველ ნეკერჩხლებზე.

ალილო

თეთრია ჩემი სამოსი. ვზეიმობ. ვგლოვობ.
ძაძებგახდელი. თავი კედელს. სუნთქვა ჰაერში.
ძირს, ჩემს ფეხებთან, დაუმწვარი სანთლების გროვა.
ზევით ღრუბლებში ორნამენტი. კვერცხი. ფაბერჟე.
ნატურმორტივით მიდევს თავი. გიხსენებ. ვფიქრობ.
ხმაურით არა. ჩუმი ელდით. მოდის სიჩუმე.
ვიცი, რომ ამ დროს ემინიათ. მე გელი. იქნებ
მოხვიდე. მითხრა, რომ ტკივილი ამოვიჩემე.

ალილო და აქა შობა.
ალილო და აქა ალილო.
მანამ უჩემობამ დაგშუბა,
მანამ უშენობამ გამივლო
გულში, გაუთიბავ საძოვრებს
ზარი უხმინე სამრეკლო,
თორემ ევა ვარ და კვლავ გავუძლებ
შარაგზას, ეკლიანს თუ უეკლოს.
ალილო და აქა პური.
ალილო და სისხლი აქა.
სხეული ჩემი დავაპურე,
სხეული ჩემი სულს მისხლავდა.
ნანწავს ჩემსას გადმოგდებულს,
იდგენენ, ასფალტს ქვევით ფლავდენენ,
მანამ უშენობა გადამაგეს,
მანამ ჩამომაფარეს ფარდა.
ალილო და აქა შობა.
ალილო და ალილო აქა.

გზებია ისე ჩაკეტილი. ნაჭუჭი თხილის.
გათავისუფლებ. გული მარცხნივ. ისმის ტკაცუნა.
თვალეში ნაცარს მაყრიან და მე კი სიფრთხილეს.
ყველა რომ ირგებს, ვიხდი. ვაგდებ. ფეხქვეშ გიცურებ
სიტყვას, რომელიც ჯერ არ მითქვამს და ვიტყვი ახლა.
სიტყვას, რომელიც ველარ გასწვდა ჩემს უშენობას.
და რა მარტივად შემიძლია გითხრა: მიყვარხარ.
და რა რთულია ჩამოშლილი სულის შენება.

ალილო და აქა შობა.
ალილო და ალილო აქა.
მინა დამიმოკლდა, დამშორდა,
კიდურებს შორის გამიქვავდა.
თვალი ისე გამომთხარეს,
დამწაშავეც არსად ჩანდა.
მანამ უშენობა მოვიდა ხვალე,
მანამ, უჩემობა ჩამოგდა კართან.
ალილო და აქა პური.
ალილო და სისხლი აქა.
მშვიერი ვარ და დამაპურე.
მწყურვალნი ვარ და მიმყევ წყალთან.
ევა ვარ და კვლავ გავუძლებ
ათას ედემს...
-ალილო აქა.

თეთრია ჩემი სამოსი. ვზეიმობ. ვგლოვობ.
ძაძებგახდელი. თავი კედელს. სუნთქვა ჰაერში.
ძირს, ჩემს ფეხებთან, დაღვენილი სანთლების გროვა.
ზევით ღრუბლებში ორნამენტი კვერცხი. ფაბერჟე.

უგზოდ, უკვალოდ...

შუალამისას მზეს ვაკრავდი "იავნანას" ჩუმი ღიღინით გაღვივებული ვარსკვლავებით სავსე თონეში, რომ რიჟრაჟისკენ, დაბრანული მზის სურნელით გაბრუნებულს გაგღვიძებოდა, ახელი თვალეზს — ვარდკაჭაჭებს და ტიტინებდნი, მერე მთელი დღე მზეს იხუტებდი ორივე ხელით, ჩიტებს უყრიდი და აპურებდი.

მას შემდეგ ისე დიდი ხანია... მზეს ახლაც ვაკრავ „იავნანას“ ჩუმი ღიღინით გაღვივებული ვარსკვლავებით სავსე თონეში. მზე არ ამოდის, მზე ვარდება კუტი პურივით. მე მაინც ვაკრავ. მოთმინებით, ჯიუტად ვაკრავ.

ტყუილი იყო მამაშენის მზეჭაბუკად ზღაპრებში წასვლა! ტყუილი იყო სანოვარა, წყალ-წყალა სუფი! ბიძებისგან ნაჩუქარი თოფი, დამბაჩა! ტყუილი იყო ომობანა! გამარჯვების ყიჟინა! ტაში! მართალი: მხოლოდ გულის ფეთქვა და სიყვარული — თოთო მაჯაზე ძაფით შებმული ვერცხლის ეჭვანი...

...შუალამისას მზეს ვაკრავდი „იავნანას“ ჩუმი ღიღინით, ზღვაში ვხნავდი, ზღვაში ვთესავდი ცერცვის მარცვლებს: სიტბოს, სიკეთეს, სათნოებას, იმედს, სიხარულს... არცრა მიჭირდა, გვერდით მყავდი: ცელქი ბიჟინა და მონყურებულს ზღვას გასმევი პანია კოვზით. ზღვა დაილია, მინა გამოჩნდა და მინაზე:

დანარცხებული, თავნანყვეტილი მკვდარი ჩიტი, გადამსხვრეული ლითონის ფრთებით, სხეულიდან გამოჟონილი ვაებით, კენესით... ვერ მოგისწარი! მზეს ვაკრავდი „იავნანას“ ჩუმი ღიღინით, ვხნავდი, ვთესავდი.

ხომ არ მემდური? ხომ არ გცივა? ხომ არ გეტკინა ან ხომ არ გშია? გიჩხარუნებენ ბრონეულები ნითელ-ნითელ საჩხარუნობს?!

მას შემდეგ ისე დიდი ხანია... ჩამოიმარცვლა წელიწადების კრიალოსანი — დედის ლოცვანით. ჩუმი ღიღინით, ჩუმი ღიღინით გაახლოვდები, ისევე მესმის შენი მაჯიდან ვერცხლის ეჭვის სუსტი წეარუნი. ჩემსკენ იარე. არ შეგეშინდეს ბილიკებზე მოდებული შამბის და გვიმრის, ჩემი სხეული, ჩემი სული მოგიპნიე ფურცელ-ფურცელ და გამოყევი, რომ მზე ჩაეკრა „იავნანას“ ჩუმი ღიღინით გაღვივებული ვარსკვლავებით სავსე თონეში.

ლიზა კითხულობს მარკ ტვენს

იცი, ჩემი სახლის სარდაფშიც ცხოვრობდა მანანალა ჰეკლბერი ფინი, იქ ახლაც დგას მაშინდელი თამბაქოს სუნი და საფეხურებზე შერჩენილია ტალახიანი ნაფეხური — ჭორფლიანი, პატარა ბიჭის.

იცი, ჩემი სოფლის ოდაში დღესაც იმალება ინდიელი ჯო. სწორედ ამიტომ ვერ მიმყავხარ, მეშინია, რამე არ გაგნოს. არ გჯერა, ხომ? როცა იქნება, აუცილებლად გაჩვენებთ იმ სახლს შენ, ტომს და ჰეკის... განძაც იპოვით, ბავშვობაში რომ დავმალე შენთვის და ბეკი? ბეკი აქ დარჩეს მარტო, ტომს შენ მოსწონხარ, მე ასე ვატყობ. შუშის ბურთულებს სულ შენ არ გჩუქნის? ვერ მომატყუებ, აბა, გაშალე პანია მუჭი!

იცი, ჩვენი სახლის ოთახებში დღესაც დაეძებს ტომს დეიდა. " — ტომ! პასუხი არ არის. — ტომ! პასუხი არ არის — რა დაემართა ამ ბიჭს? ტომ!" ტომს არაფერი არ დამართნია. უყვარს დამალვა, ხანაც გაპარვა, და თანაც, შენზე მეტად ცელქია.

შენ კი ტომივით არ დამემალო, — ელისაბედ, ლიზიკო, ლიზი! — რომ დაგიძახებ ახლაც და მერეც, როცა უკვე იქნები დიდი, და შენი სახლის ოთახებში



ლელა ცუცქირიძე

დაგემალემა ტომივით შვილი, — ბატონო, დედიკოო, — გამაგონე და მოდი ჩემთან, მე დავმშვიდდები, ჩაგეხუტები და გული ისე დაინყებს ფეთქვას...

ახლა კი, ნადი, მოემზადე, არ გაგასწრონ ტომმა და ჰეკმა, დღეს შენც მიდიხარ ახალი განძის აღმოსაჩენად.

მატარებელი

აი, ჩავჯექი მარტივ ნახატში, სასაცილო, აჩხაბაჩხა მატარებელში — ჩემი შვილის ფერად სიზმარში. ძლივს შევატეე ოჩოფეხები და გაფარჩხულთითებიანი, გრძელი ხელები. გულის მაგივრად გათხაპნილი, ნითელი ლაქა გარედან ფეთქავს: ან-ბა-გან-დაგან, ან-ბან-გან-დაგან და სათამაშო ფანარივით ინთება, ქრება, ინთება, ქრება.

გავცდი ცარიელ, ნაცრისფერ ბაქანს. იქ მარტო მძიმე ჩემოდანი დევს. ალბათ მე დამრჩა. ან რად მინდოდა, რომ მოვათრევდი? რა საჭიროა ამ სასაცილო, აჩხაბაჩხა მატარებელში ბარგის შეტანა?!

გადავიარე ყვავილებით დაკოპლილი ხასხასა ველი. ბალახებიდან ბალბა-ბალბა-ბარბალუკების მარლიანი ბედის კვერი დახუჭობანას მეთამაშება. ვითომ არ ვიცი, საით მიგორავს! ჩემი შვილის უმანკო ფშვინვით აფუებული ბალიშის ქვეშ შეგორდება და იქ დილაიმე დამემალება.

მანამდე დროა: ჯერ მზე ნითელი „მამალოა“, მთვარე კონკიას ბროლის ქოშია და ცისარტყელა ყირამალა საქანელაა მალლა და დაბლა.

მალლა და დაბლა ფერადი მინის ნამსხვრევებიან ტელესკოპში ვიჭვრიტები, ასე მგონია. სულაც არ ვდარდობ ოჩოფეხებს და გაფარჩხულთითებიან, ძაფივით ხელებს.

აი, ხომ ვზივარ ჩემი შვილის ფერად სიზმარში ახლაც და ხვალაც, ახლაც და ხვალაც. მატარებელი მილიდინებს: ან-ბან-გან-დაგან, ან-ბან-გან-დაგან. მე მიხარია.

მომენატრება იმერეთი

მომენატრება იმერეთი, ზღაპრული მხარე, მთებით — დევებით, ველარ ითმენენ ზამთრის დღეებს ურჩი ტყემლები და სიფრიფანას იცვამენ კაბებს, გამოტანტალდა ფეხშიშველი ეზოში ბალლი — თეთრი ენძელა, — გაიღვიძეთო, გაზაფხული მოდის ნელ-ნელა, — გადაუსტვინა წინკანამ შაშვეებს.

საკვამურიდან ცის ბილიკებს ფეხარეული მიჰყვება კვამლი, კეცებზე აცხობს ხაჭაპურებს პატარა ქალი, და ჩუმად იხსნის კაბაზე ღილებს, საცაა, მოვა საშოვარზე წასული ქმარი, ქალს იმედი აქვს, ზამთრის ყინვისგან მინავლულ ვნებას გაზაფხული გამოაღვიძებს.

წყაროსკენ მირბის ჭინკა ბიჭი — ჩემი ბავშვობა, ველარ ვენევი, კვირტებს იქსოვენ ყაისნალით ვაშლის ხეები, მინა ბალახის ფაჩუჩებს ირგებს, ახლა ისეთი იმერული გაზაფხულია, უნდა დავბრუნდე, გაბუტულია ლოდინისგან პატარა ოდა, მივეფერები და შევირიგებ.

მომენატრება იმერეთი, ზღაპრული მხარე...

მამას

— მასტერაომ ჩეიარა? — აპა არა? ჩეიარა. ნიფის გვირბს როცა გასცდა, ხაროგოულს შეიარა.

იქ, სადგურზე, ერთმა ბიჭმა გოგო ისე შეიყვარა, დაუფიცა იმერეთი, თავის მინდორ-ველიანა.

მასტერაომ ჩეიარა? — აპა არა, ჩეიარა. კაკაბაძის პეიზაჟი სულ ღიღინით გედიარა.

ხელს უქნევენ გორაკები ისრიმ-მაყვალ-ლელიანა, ლელე-ნისქვილ-ოდებიან, ჭინკებიან-დევიანა,

— მასტერაომ ჩეიარა? — აპა არა? ჩეიარა, ჩემთვის უკვე მერამდენედ ამბავს ჰყვება სევდიანად.

განა უცხო... მამა იყო, სადგურზე რომ ბიჭი მდგარა, გაჰყოლია მასტერაოს, მენატრება, აპა არა?!

ეჰ, სუსხიანი ზამთარი არის, აშლილია ქნარები ქარის, ამიტომაც გაგიჟდა ქარი, გაქარიშხალდა: გადაინვინა მუხლებზე ხენი, ვნებიანად დაუნყო ლომნა, შემოახია ტანზე ფოთლები, ველური ჟინი განიქარვა და მერე ჩაცხრა, თითქოსდა მოკვდა. ხეებს რცხვინიათ... სიშიშვლისა რცხვინიათ ხეებს, ეჭირხლებათ მერქანზე ცრემლი, ვერ უსწორებენ ცას კენწერობებს, მობუზული ბელურებითლა იფარავენ გაშიშვლებულს ქარისგან ტოტებს, ან რა ქნან მეტი, ეჰ, სუსხიანი ზამთარი არის, აშლილია ქნარები ქარის...

შეამოგონა გურიანი

უკრიმანჭულეებს შემოდგომას ეზოში შაშვი, ყანაში სიმინდს ყაბალახი წაუკრავს თავზე, და იზაბელა, ონავარი, რიგორც ციცაი, დაუკითხავად აპარულა მეზობლის ნაძვზე. შემთვრალი ქარი ფირალივით გაჭრილა ტყეში, გახელებული მაჭრისაგან ფიშტოს დაიხლის, წამოგორდება ოდის კართან სავსე გიდელი, ნება სალამო, გადამთვრალი ყაზილარივით.

ოთხი იანვანის საბოლოო ვარიანტს წარმოადგენს.

სიმონ ჩიქოვანი, ტიციან ტაბიძესთან ერთად, ხშირად ურჩევდა სათარგმნ მასალას რუს პოეტს. თითქმის ოცდაათი წლის მანძილზე პასტერნაკი განუწყვეტილად თარგმნიდა ქართულ პოეზიას. გარდაცვალებამდე რამდენიმე თვით ადრე გიორგი ლეონიძის ლექსი გადაარუსულა. თარგმნა მთელი ბარათაშვილი, ვაჟას „გველისმჭამელი“ და თერთმეტი თანამედროვე ავტორი...

და მე ვფიქრობ, იქნებ საქართველოზე თავდავიწყებით შეყვარებულ რუს პოეტს, შექსპირის ტრაგედიაში და გოეთეს „ფაუსტის“ მთარგმნელს, ქართველი პოეტების დამჯერეს და ქართველ კოლეგებზე მინდობილს, როდესაც ნებით თუ უნებლიეთ მხოლოდ თარგმნიდა და თარგმნიდა, - იქნებ ამჯერადაც დაეჯერებინა ქართველი მეგობრებისათვის და, თუკი შესაფერებდნენ და დაინტერესებდნენ, - „ვეფხისტყაოსანი“ ეთარგმნა?!

ძნელია, ბორის პასტერნაკს - მონათლულ იუდეველს - შოვინისტობა დასწამო, მაგრამ როდესაც რუსი კოლეგა ქართველ კოლეგას მხოლოდ რუსულ გარემოშია და განზომილობაში წარმოადგენს და წარმოგვიდგენს, კიდევ უფრო ძნელია ამას სხვა სახელი დაარქვა.

22 და 25

— მე ვგვიყვარებოდი მაიაკოვსკიზე. როცა მთავაზობდნენ, რაიმე მეამბნა ჩემს შესახებ, მაიაკოვსკიზე ვინცებდი საუბარს.

— მე მას ვაღმერთებდი და თავი სრულიად უნიჭოდ წარმოგიდგინა.

— რაღაც დანაშაულს ვგრძობდი მის წინაშე და უფრო ახალგაზრდა რომ ვყოფილიყავი, მწერლობას მივატოვებდი.

— იგი ბავშვობიდანვე გაანებებოდა მომავალმა, რომელსაც სიყრმიდანვე ენია, რაკი ყველა ჩვენთაგანს გადაგვისწრო.

ეს აღსარება ბორის პასტერნაკმა დანესა 1930 წელს - მაიაკოვსკის თვითმკვლელობის წელს - და თხუთმეტი წლის წინანდელი საკუთარი განცდები გაიხსენა. ლიტერატურული ქრონოლოგიისა და გარემოების სიციხადისათვის ისლა დაგვრჩენია, ორი პოეტის ასაკი შევაპირისპიროთ: მაშინ მაიაკოვსკი 22 წლისა იყო, პასტერნაკი კი - 25 წლის!

არადა, დრამატურგ ალექსანდრე გლადკოვს 1941 წლის 27 თებერვალს, ევაკუაციისას, ჩისტოპოლში ჩაუწერია ცნობილ ლიტერატურათმცოდნე გრიგორი ვინოკურთან საუბარი, სადაც ეს ასაკობრივი შეფარდება რატომღაც და როგორღაც შებრუნებულია. გლადკოვი წერს:

— ვინოკური, რომელიც კარგად იცნობდა მაიაკოვსკის, ადასტურებს ლილია ბრიკის საუბარს იმის შესახებ, რომ მაიაკოვსკი განუწყვეტილად ბუტბუტებდა პასტერნაკის ლექსებს. მას უყვარდა ბორის ლეონიძის იხე, როგორც უყვართ ურჩი უმცროსი ძმა. ამათ ურთიერთობაში (ვინოკური კი ორივეს ერთად აკვირდებოდა) ყოველთვის შეიმჩნეოდა მაიაკოვსკის მშვიდი და გულთბილი განწყობა და პასტერნაკისეული დაუცხრომელი მონაცვლევა აღტაცებისა და ბავშვური ამბოხისა, როცა უმცროსი ძმა უფროსის შეუზღუდავ მეურვეობას ვერ იტანს.

როგორც ერთხმად აღიარებენ და ფოტოსურათებიც ადასტურებენ, ბორის პასტერნაკი საკუთარ ასაკზე ბევრად ახალგაზრდულად გამოიყურებოდა, მაგრამ დაბადების (და არა ლექსის!) მეტრიკას სად გაექცივით?!

ორი სიზარტლე - ოცი წლის შემდეგ

1957 წელს, ცნობილი რეაბილიტაციის შემდეგ, მწერალთა კრებაზე, ახალგაზრდა არჩილ სულაკაურმა ბესო ფლენტს ოცდაჩვიდმეტი წელი გაუხსენა.

ბესომ უთხრა: მე შენგან საყვედურს (უნდა ეთქვა - ბრალდებას!) არ მივიღებ და არ ვიპასუხებ. გამოვიდეს მწერალი, რომელიც მაშინ ჩემს გვერდით იდგა, შე-

მომედაოს და მე ვიცი, იმას როგორ დავლაპარაკო.

არჩილი მართალი იყო და, მგონი, ბესოც მართალი ბრძანდებოდა.

ღვარამია ლავროს!

1993 წლის 31 ივლისს ტელევიზორმა გვაუწყა: თბილისს ესტუმრა სერგო ლავრენტის ძე გეგეჭკორი (ბერიას ვაჟიშვილი, რომელიც გასაგები მიზეზის გამო დედის გვარს ატარებს, სახელი კი ორჯონიკიძის პატივსაცემად დაარქვა მამამისმა). სერგო ლავრენტის ძე თურმე უკრაინაში დირექტორია დიდი გასამხედროებული ქარხნისა, რომლის ანალოგიც მსოფლიოში არ არსებობს.

სერგომ კუკიაზე მოინახულა საფლავი დედისა, რომელიც შარშან გარდაიცვალა - 90 წლისა.

სერგო მიიღო ედუარდ შევარდნაძემ და შესთავაზა სამშობლოში დაბრუნება.

ღმერთმა დაგვიფაროს! - სერგომ და ლავრენტიმ ხომ საქართველო ამოადგეს იოსებ ბესარიონის ძის თამადობით!

ოთარ მაფორია

ოთარი ბინას ელოდებოდა. ორი ვარიანტი შესთავაზეს. გვთხოვა და მე და შოთა თოფურია გავყვეით საბურთალოზე ჩემი „ჟიგულით“. გზაზე გვიამბო:

— ავარიში რომ მოვეყვი ქუთაისში, ხომ იცით. ჰოდა, პალატაში მომიწვიანეს გვერდით პედინსტიტუტის ფილოსოფიის კათედრის პროფესორი, ქვემოთმერი ფილოსოფოსი. ვითომ პატივი მცეს, არ მოინწყინოს ანტიონიჩმაო. ამანაც გამიხურა, მარა რა გამიხურა: დაიწყო აბელარით და დაასრულა ჰაიდგერით, მაგრამ არ დაასრულა, მეორე და მესამე წრეზე გავიდა. ვუსმინე ერთი დღე, მეორე, მესამე და მეტი ველარ მოვიმინე: შე ფრანგო, მე შენ მკითხველი ხომ არ გგონივარ, მე მწერალი ვარ-მეთქი. - შევეუტიე და არ მოვისვენე?!

საბურთალოზე ორივე ბინა დავათვალიერეთ: ერთი ნუცუბიძის ბოლოში - მშენებარე და მეორე ვაჟა ფშაველას პროსპექტზე - გამონაცვალი. ჩვენ ვაჟას პროსპექტი ვურჩიეთ და დაგვეთანხმა ორ თბილისელი-ქუთაისელს ერთი თბილისელი-ქუთაისელი.

რამდენიმე წლის შემდეგ ავტობუსიდან დავინახე: ბეჭეტში ოდნავ მოხრილი, ყავარჯენს დაყრდნობილი ანტიონიჩი თავისი სახლის წინ მისეირნობდა.

ვერლიბრი - უშრომელი შემოსავალი (ოთარ მაფორია).

სიმთვრალე - ხელოვნურად გამონკვეული სიგიჟე (ავლიპი ზურაბიშვილი).

„ჩიხული“ და „მერსედისი“

1985 წელს დავწერე: *მეზობლის „ჟიგულმა“*

მეზობლის „ჟიგულს“ აკოცა, მეზობელმა მეზობელი ლამის აკუნა.

1987 წელს გამოვიდა ანდრეი ვოზნესენსკის ნიგნი „Eh a“. ნიგნი იხსენება უთარლო ლექსების ციკლით. ორმოცდამეხუთე გვერდზე დაბეჭდილია „I i nÛñ ãñèÿ ï èð - ø èà“, რომელშიც ასეთი სტრიქონებია:

E ï ÿðèõ ï ï ÷èë. ãññã:ï ï ï òãñ ãããø ãé „I ãññãããã“ ï à ãñ ãçãã èç ããðãèà - ï èð ø èà xï ðï ø à.

ასე შეეჯახნენ ერთმანეთს და გადაკოცნეს ერთმანეთი ჩემმა „ჟიგულმა“ და ანდრეის „მერსედისმა“.

ოთხმოციანი წლების დასაწყისში თბილისში აქა-იქ გამოჩნდა უცხოური მარკის მსუბუქი ავტომობილები, რომლებსაც ზოოპარკში შესულებივით ხარბად ათვალიერებდნენ საბჭოთა ავტომოყვარულეები. ერთხელ ბენზინის რიგში ვიდექი, უცებ ლურჯი „მერსედისი“ მოსრიდა და ცნობისმოყვარე მძღოლები ერთბაშად მიიზიდა. მძღოლს გავესაუბრე და გულსიტკივილით მითხრა: ძალიან კარგია და ძალიანაც მომწონს, მაგრამ უნდა გავყიდო. მიზეზი რომ ვკითხე, მიპასუხა: დირექტორმა დამიბარა და გამაფრთხილა: ან მაგ „მერსედისს“ გაყიდი ანდა სამსახურიდან წახვალ.

ასეთი დროც იყო!

9 9 9

1978 წელს დავწერე „გამოცანა“: სტვენს გაზაფხულის შიკრიკი და ლვივის, როგორც კრამიტი, გარეთ ატლასი, შიგნით კი - 9 9 9.

1996 წელს ერთი მალაზიის აბრაზე ამოვიკითხე: „999 წერილმანი“. მომეწონა: ავტორს იუმორის ნიჭი ჰქონია, ანდა - ჩემი ლექსი აქვს წაკითხული.

„ლოდი, ნასაყდრალი“

გურამ დოჩანაშვილისა ყველაზე მეტად „ლოდი, ნასაყდრალი“ მომეწონა: ქართული ენის სტიქიაში, უფრო ზუსტად - ქართული გრამატიკის სტიქიაში ასე თამამად და ასე „თავხედურად“ არავინ შეჭრილა. შეიჭრა და საკუთარი ფონეტიკა, საკუთარი მორფოლოგია, საკუთარი ორთოგრაფია და საკუთარი პუნქტუაცია დაიკანონა. ლინგვისტური ღირებულებანი ერთბაშად გადააფასა და ჩამოაფასა. მთარგმნელი მოტეხა, რედაქტორი ფეხებზე დაიკიდა და მთელი პასუხისმგებლობა კორექტორებს აპკიდა. კორექტორების რეაბილიტაცია მოახდინა, ვინაიდან თანამედროვე გამომცემლობები ასეთ ნომენკლატურას არ იცნობენ და არ სცნობენ, სამწუხაროდ!

ადრე გამომცემლობებში კორექტორების სამსაფეხურიანი იერარქია აღირიცხებოდა: ამომკითხველი, ძირითადი და კონტროლიერი. ამომკითხველი დედანს აწყობამდე ამოიკითხავდა და იმ ორთოგრაფიულ და პუნქტუაციურ შეცდომებს ასწორებდა, რომლებიც ავტორმა და რედაქტორმა ვერ შეამჩნიეს. ძირითადი კორექტორი პირველ ანაბეჭდებს წაკითხავდა, ხოლო უფრო გამოცდილი კონტროლიერი კორექტორი - ჩასწორების შემდეგ. ამ სამუშაოს ვიზის გარეშე ნიგნი ვერ დაიბეჭდებოდა.

საგანგებო შემთხვევაში ოთხი თვალი ამოწმებდა ერთდროულად: ერთი კორექტორი ხმამაღლა კითხულობდა დედანს, მეორე კი პოლიგრაფიულ სახაზავს ნააფარებდა ანაბეჭდს, სტრიქონ-სტრიქონ ჩამოაცურებდა ამ სახაზავს და თან ისმენდა და თან მარცვალ-მარცვალ უჩუმრად მიედევნებოდა მოსმენილს. ასეთ განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებდნენ, უპირველეს ყოვლისა, ლენინისა და სტალინის ტომები და შემდეგ - შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“.

დაუმატეთ ამას სტამბის კორექტორები და პროცესის რეალყოფილი იქნება.

ცნობილია, „დედაენის“ ანაწყობში აღმოჩენილი თითოეული კორექტორული შეცდომის აღმოჩენისათვის იაკობ გოგებაშვილი თითო ოქროთი აჯილდოვებდა.

გასული საუკუნის სამოციან წლებში ჟურნალ „ციცკარში“ გაპარული ერთი კორექტორული შეცდომის გამო საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურო შეიკრიბა: სამართალმა პური ჭამა და ჟურნალში „მენშევიკების სისხლიანი რეჟიმის“ ნაცვლად დაიბეჭდა - „ბოლშევიკების სისხლიანი რეჟიმში“. ბიურომ დაადგინა და ჟურნალის მთელი ტირაჟი გაანადგურეს.

ახლა გამომცემლობები და რედაქციები არანაკლებ გულგრილობას პუნქტუაციისადმი იჩენენ, ზოგჯერ კი საერთოდ უარყოფენ მართლწერის ელემენტარულ ნორმებს, არადა, ერთადერთ მძიმეს და ერთადერთ წერტილს შეუძლია სიკვდილმისჯილი გადაარჩინოს.

1973 წელს მე დავწერე „ოდა სასვენი ნიშნებისა“ და ასე დავასრულე:

მე კი ისევ ერთგული ვარ *ძველი მონაპოვრის: სიტყვებს ვეძებ, რომ ჩავწერო სასვენი ნიშნებს შორის.*

გურამ დოჩანაშვილმა აქტიურად უერთგულა შევიწროებულ და უგულვებელყოფილ სასვენი ნიშნებს, აღადგინა თავის უფლებებში, დამატებითი ფუნქციებიც დააკისრა, ტირე და დეფიზი წამოახმარა და უსიტყვო კომბინაციებიც კი შემოგვთავაზა: სასვენი ნიშნები - ასო-ნიშნების გარეშე, თანაც - ამ ნიშნების მხოლოდ ავტორისათვის გასაგები მრავალსახოვანი კომბინაციები ანუ გამოცანა-განტოლებანი.

მოკლედ - ომი გამოუცხადა ენათმეცნიერებს და ენათმეცნიერებას.

საჭიროა მეორე შანიძე, უფრო სწორად - ანტიშანიძე, რომელიც „ლოდი, ნასაყდრალის“ საფუძველზე დაწერს „ქართუ-

ლი გრამატიკის ახალ საფუძველებს“ და ამ ანტირომანს დაურთავს.

ვიცი, ბევრი ოპონენტი მეყოლება. ისიც ვიცი, ამ რომანს ბევრი მკითხველი არ ეყოლება. მაგრამ კარგახანია გურამ დოჩანაშვილს მკითხველის დეფიციტის საშიშროება აღარ ეშუქურება.

ახლახან როსტომ ჩხეიძის წერილში ამოვიკითხე, რომ გურამი თავის ნაწერებში ამ რომანს გამოარჩევს და, თუმცა ავტორის არჩევანი ყოველთვის არ ამართლებს, დოჩანაშვილს ამჯერადაც არაფერი ეშლება.

როდესაც შენი საყვარელი მწერლის მორიგ ნაწარმოებს კითხულობ, ხშირად გეჩვენება, რომ ეს უკანასკნელი სჯობს ყველა დანარჩენს. „ლოდი, ნასაყდრალი“ შვიდი წლის წინ წავიკითხე, მაგრამ აზრი არ შემიცვლია.

ოდა ნიგნისა

ნიგნი თუ კომპიუტერი? —

რა თქმა უნდა - ნიგნი! —

ნიგნი, რომელიც:

— დედამ მიყიდა (ასმანეთიანი გალაკტიონი).

— ბუკინისტებთან აღმოვაჩინე.

— ძველი სახლის ნანგრევებში ვიპოვე.

— აკრძალული იყო.

— საკუთარი ხელით გადავწერე.

— რეაბილიტირებულია.

— ვითხოვე და დავაკონსპექტე.

— ვითხოვე, დავაკონსპექტე და მერე ვიშოვე.

— რესტავრატორთან აღვადგინე.

— საწყობიდან გამოვიტანე.

— ლატარიაში მოვიგე.

— იმ დღეს ვერ შევიძინე და მეორე

დღეს გაყიდული დამხვდა.

— ნიგნში გავცვალე.

— ნიუ-იორკიდან ჩამომიტანეს.

— პარიზიდან გამომიგზავნეს.

— იტალიაში ვიყიდე.

— მოსკოვიდან გამოვიწერე ფოსტით.

— მატარებელზე გამოატანეს და ვაგზალში დავხვდი.

— თბილისში შევეუკეთე და პეტერ-

ბურგიდან მივიღე.

— ნასესხები ფულით ვიყიდე.

— ნისიად შევიძინე.

— ვათხოვე და „გამიუპატიურეს“.

— ვათხოვე და არ დამიბრუნეს (ძალ-

ლის ნაკებნივით მახსოვს!).

— მომპარეს (ნიგნის ქურდი ქურდია!).

— დამეხიზმრა.

— უწმინდესსა და უნეტარესს ვაჩუქე.

— გალაკტიონმა მარჩუქა.

ახალი ნიგნი - მრავალჯერადი პირველი პაემანია, გახანგრძლივებული პირველი პაემანი.

ნიგნს უყვარს მოფერება, როგორც საყვარელ ქალს.

არასოდეს დამავინცდება პირველი ეგზემპლარი პავლე ინგოროყვას ხელში და მურმან ლებანიძის ხელში.

ყოველთვის მახსოვს გივი გეგეჭკორის მეტაფორა:

იდექ დიდხანს და ღამითაც გრძელდებოდა ჯადოქრობა, აბაჟურთან იხრებოდი

სპეტაკი და მელოტი,

და თაროდან ნიგნი ისე

მოწინებოდა გადმოგქონდა,

თითქოს ფრთხილად ქალს ცხენიდან

გადმოსვლაში შევლოდი.

და მაინც, ნიგნი თუ კომპიუტერი? —

რა თქმა უნდა, — ნიგნი, ნიგნი და ნიგნი!

შეიტანეთ ნიგნი ნითელ ნიგნში და გა-

დაარჩინეთ ნიგნი, არჩეულთა და ასარჩე-

ვო პრეზიდენტობა, თორემ ინაუგურაციის

დროს კომპიუტერზე მოგიხდება ხე-

ლის და ფიცის დადება!



— თქვენს პირველ და ჯერჯერობით ერთადერთ ნიგნს — „ავტობიოგრაფია ფრანგულად“ — ერთ-ერთ ინტერვიუში ექსპერიმენტულს უწოდებთ, ტექსტების დიდ ნაწილს კი — მეტ-ნაკლები წარმატებით შესრულებულ სავარჯიშოს. კლასიკური სახის მოთხრობების დანერგვა არც მქონია მიზნად — ამბობთ. რას გულისხმობთ ლიტერატურულ ექსპერიმენტში?

— როდესაც წერას იწყებ, საკუთარ ამბებს ვერსად გაეცევი. ეს დამწყები მწერლის გამოცდაა: რაზეც უნდა წერო, მაინც შენს თავზე უნდა წერო. ამიტომ სჯობს, პროცესი სასურველი მიმართულებით თავად წარმართო: გაცნობიერებულად დანერგო ახალი, სანახევროდ გამოგონილი ავტობიოგრაფია და ამ გზით გათავისუფლდე საკუთარი ამბებისგან, შიშებისგან, აკვიატებული აზრებისგან. ასეთი სავარჯიშოები ძალიან სასარგებლოა. მათი დიდი ნაწილი ჩემს ნიგნში ვერ მოხვდა და ვფიქრობ, სწორად მოვიქეცი, მკითხველი რომ დაეინდე (ავტორის ენობრივი თამაში შესაძლოა მისთვის უსარგებლო და მოსაწყენი აღმოჩენილიყო). მეორე მხრივ, როგორ უნდა იპოვო საკუთარი ხმა ექსპერიმენტების, იმპროვიზაციების გარეშე? ვცდილობდი, ამბების გარის გავმეორებო და მათ გარეშად დავკვირებოდი. ვცდილობდი, შეცდომებზე კი არ მესწავლა, ისინი ლიტერატურულ ტექსტებად შექცია. როდესაც საკუთარ სახეს ეძებ, ამბები მერყეობს სიხარულით. არსებობს ენა, როგორც ინსტრუმენტი და ის ისე უნდა გაითავისო, რომ თავდა გახდეს ინსტრუმენტი მის ხელში. აი, ასეთი ამოცანები მქონდა. რაღაცით ლუსის კეროლის გმირს ვგავდი, რომელიც საოცრებებისა და საფრთხეების ქვეყანაში მოხვდა. ჩემი ამბავიც კეთილად დამთავრდა: ვისწავლე, გამოცდილება მივიღე, ცოტა გავიზარდე.

— მაინცდამაინც პროდუქტიული ავტორების რიცხვს არ მიეკუთვნებით, აი, ისეთებს, ბევრს რომ წერენ და თვეში ერთხელ პრეზენტაციებს მართავენ. ცოტას წერთ თუ ცოტას ბეჭდებთ? საერთოდ, როგორია თქვენი მუშაობის სტილი, დიდხანს უკირკიტებ ტექსტს?

— ბოლო დროს მართლაც ცოტას ვწერ. ინტენსიურად ვთარგმნი და ამას ძალიან დიდი დრო, დიდი ენერჯია სჭირდება. თუმცა, მივიჩნევ, რომ მოთარგმნელობითმა საქმიანობამ უკვე მომცა ის, რაც უნდა მოეცა: ზღვარზე სიარული, უფსკურულების სიახლოვეს ცხოვრება მასწავლა. ზოგადად, ტექსტზე ბევრს ვმუშაობ — თარგმანებზე და ჩემს მოთხრობებზეც. არ მეზარება: მანამდე ვასწორებ, სანამ ხელეში არ გამიცოცხლები, დამოუკიდებლად ცხოვრებას არ დაიწყებ.

— თქვენი მოთხრობები მსხვილი პლანით გადაღებულ ფილმებს ჰგავს, შავ-თეთრ კინოსურათებს, სადაც ძირითადი აქცენტი მთავარი გმირის სულიერ სამყაროზე კეთდება, მის შიგნით მიმდინარე პროცესებზე. ამბავი უკანა პლანზეა. ვცდებით თუ ასეა? ანუ „ადამიანის“ მწერალი ხართ თუ „ამბის“?

— ჩემთვის მნიშვნელოვანია ყველაფერი, რისგანაც ლიტერატურა იქმნება. ადამიანები, ამბები — ეს, უბრალოდ, საშენი მასალაა. გააჩნია, რის აგებას აპირებ. რომანი წარმოადგენს იქნებოდა მათ გარეშე (თუმცა გამოიკლივები — მეტ-ნაკლები წარმატებით დასრულებული ექსპერიმენტებიც გვახსოვს). როდესაც 21-ე საუკუნეში შავ-თეთრ კინოს იღებ, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ტექნოლოგიურ საშუალებებზე ხელი არ მიგიწვდება. კი, ცოტა ექსცენტრული ნაბიჯია, მაგრამ გამართლებად მოეძებნება. ჩემი მოთხრობებში ამბავი მეორეხარისხოვანია, ერთგვარი სავალდებულო ფონია, რომელიც პერსონაჟების სილუეტებს ამკვეთრებს. ამავე დროს ფსიქოლოგიზმაც ზედმეტად ხაზგასმული და გათამამებულია.

ეს პოზიცია თავისთავად შეიცვლება, თუ რომანის დანერგვა გადაწყვეტ. უნდა გამოვტყუდე: დიდი ხანია, ეს აზრი მოსვენებას არ მაძლევს. ექსპერიმენტებით გატაცების მიუხედავად, ვიცი, რომ ჩემს რომანში ამბებიც იქნება და პერსონაჟებიც, რომლებიც თავად მოქმედენ ტექსტის ქსოვილს. არ მიყვარს მოსაწყენი რომანები, არც ე.წ. „ერთგვარადი მოხმარების“ ლიტერატურა“, წყალივით რომ ჩაივლის და მეორედ ვერაფრით წაიკითხავ. ბუნებრივია, ეს იოლი ამოცანა არ არის. ისევ სარკისმილმეთია. ისევ საოცრებები და საფრთხეები. თუმცა ერთი განსხვავებაა: წერის (შენების, გრევის, ისევ შენების) გამოცდილება მაქვს და ვიცი, რა მიმართულებით უნდა ვიარო.

— თქვენს შესახებ მოსაზრებები ორად იყოფა: ზოგი მიჩნევს, რომ უკეთესი მთარგმნელი ხართ, ვიდრე — მწ-

ერმა ტაველიძე:

„ჩემი მთავარი საქმიანობაა“

ირმა ტაველიძეს მკითხველი ძირითადად თარგმანებით იცნობს, თუმცა ვინც ბოლო წლების ლიტერატურულ პერიოდიკას ადევნებდა თვალს, არც მისი საინტერესო მოთხრობები გამოეპარებოდა. სამი წლის წინ მათგან საუკეთესოები საგულდაგულოდ შეარჩია და ნიგნად გამოსცა. წერას ახლაც აგრძელებს და მიუხედავად იმისა, რომ მისი თარგმანების რაოდენობა მისავე გამოუქვეყნებელი მოთხრობების რიცხვს აჭარბებს, თავს მწერლად მიიჩნევს, არჩევანი კი მკითხველისთვის მიუხდია.

ერალი, ზოგიერთისთვის კი თქვენი მოთხრობები უფრო საინტერესოა. თავად როგორ ფიქრობთ, რომელი უფრო „თქვენია“, თუ ორივე თანაბრად მნიშვნელოვანია და ერთმანეთის შემაჯავებელი?

— იცით, სულ იოლად შემძლია წარმოვიდგინო, რომ, აი, ამ წუთიდან ცხოვრების ბოლომდე აღარაფერს ვთარგმნი. ეს აზრი ოდნავადაც არ მაღელვებს. მიუხედავად იმისა, რომ თარგმანებზე მუშაობისას მნიშვნელოვან გამოცდილებასთან ერთად უდიდეს სიამოვნებასაც ვიღებ, მაინც მივიჩნევ, რომ ჩემი მთავარი საქმიანობაა. წერას არასდროს დავთმობდი — ამის გაფიქრებაც კი მზარავს. მკითხველის არჩევანზე ვერაფერს ვიტყვი. მარტივი მათემატიკაა: ჩემი თარგმანების რიცხვი ბევრად აჭარბობს ჩემი გამოქვეყნებული მოთხრობების რიცხვს. ბუნებრივია, თარგმანებზე მეტი მკითხველი ჰყავს და მეც, როგორც მთარგმნელს, მეტი გამოცდილება მაქვს. აი, რატომ გახდა ეს საქმიანობის უკვე ნაკლებად საინტერესო.

— მიუხედავად იმისა, რომ არაერთი ავტორი გყავთ გადმოქართულებული, თქვენს ყველაზე მნიშვნელოვან თარგმანად მიზევ უელბეკის „პლატფორმა“ მიიჩნევა. რატომ მაინცდამაინც უელბეკი? როგორია პირადად თქვენი დამოკიდებულება ამ ავტორის მიმართ? მოგეხსენებათ, ლიტერატურულ წრეებში მისი პერსონის მიმართ არაერთგვაროვანი დამოკიდებულებაა.

— გჯერათ ერთი ნაკითხვით შეყვარების? მიზევ უელბეკი „ელემენტარულმა ნაწილაკებმა“ შემეყვარა. ის ძალიან გულწრფელი მწერალია, რომელიც საკუთარ ქრილობებზე მარტივად მოყვას არ ერიდება და მიიჩნევს, რომ მწერლის მოვალეობა სწორედ ესაა. როდესაც „პლატფორმა“ ნავითიხვე, მივხვდი, რომ ხელში საუკეთესო თანამედროვე რომანი მეჭირა — ნიგნი სიყვარულზე, უფრო სწორად, სიყვარულის შესაძლებლობაზე. დიას, ის არაპოლიტიკორექტულია, პროვოკატორია, გულმოდგინედ ეძებს ადამიანის მტკივნეულ ადგილებს, რაც, შესაძლოა, ზოგიერთის თვალში გამაღიზიანებლად მოჩანს, მაგრამ ამ ყველაფრით მიზევ უელბეკი დიდ ლიტერატურას ქმნის. მკითხველთა ნაწილს სექსის სცენების სიჭარბე, ინტიმური ურთიერთობების ნატურალისტური აღწერები აღზიანებს. ვფიქრობ, ეს უფრო პოზიაა: სავარაუდოდ, სწორედ ეს მკითხველები სწორედ ამ აღწერებს ყველაზე მეტი ინტერესით კითხულობენ.

„პლატფორმას“ ქართული თარგმანის გამოსვლის შემდეგ უამრავი შეფასება მოვისმინე და მიხარია, თამ არ ნიგნმა თავიცი მკითხველი იპოვა. რატომ ახლაზე ერთი წელი ვიმუშავებ. ერთი წლის განმავლობაში სამყაროს ამ მწერლის თვალებით ვუყურებდი და ვცდილობდი, ენობრივ სიზუსტესთან ერთად ემოციური სიზუსტისთვის მიმეღწია. კარგად მესმოდა მისი პერსონაჟების, რომლებიც სისტემიდან ამორთვას ცდილობენ, სიყვარულის გადაჩენის გზებს ეძებენ და ფიზიკადაც აფასებენ გარემოცვულ რეალობას. რა თქმა უნდა, უელბეკი ზოგჯერ, უბრალოდ, აზვიადებს, დასავლური საზოგადოების უარყოფით მხარეებს ზედმეტად ამუქებს, მაგრამ, როგორც ხელმოვანს, უფლებები აქვს, მკითხველს საკუთარი რეალობა შესთავაზოს. აღსანიშნავია მისი თავისებური, ძალიან დახვეწილი იუმორიც, რომელიც განსაკუთრებით რომანის პირველ ნაწილში იგრძნობა.

— თქვენი აზრით, რით არის განპირობებული უელბეკის ასეთი პოპულარობა თანამედროვე მსოფლიოში?

— უელბეკი წერს იმაზე, რაც თანამედროვე მკითხველს ყველაზე მეტად აღელვებს — ჩვენს სისუსტეებზე, ყოველფეხის ნაბიჯზე მიმართულ საფრთხეებზე, საზოგადოების ბნელ მხარეებზე, სისტემებზე, რომლებშიც ის ვართ, ჩაკერული, როგორც მწერები ქარვის ნატეხში“ და ა.შ. მკითხველისთვის იოლია მის ასოციალურ, დეპრესიულ პერსონაჟებში საკუთარი

თავის ამოცნობა, საკუთარი შიშების, დაუკმაყოფილებელი სურვილების დანახვა. ამავე დროს ეს სენტიმენტალური რომანებია: ავტორი მიზანიმართულად ცდილობს ჩვენს ემოციებზე ზემოქმედებას. მე მიტრიალი უელბეკის რომანებზე, თქვენ? მგონია, რომ შეუძლებელია მათი გულგრილად წაკითხვა, თუ წინასწარ შექმნილი უარყოფითი განწყობა ან რაღაც აკვიატებული აზრი არ გაქვს.

— თუ უფრო ჩავერბინებებით, რა იქცა მთავარ სირთულედ ამ ტექსტის თარგმნისას? ენობრივი თვალსაზრისით, რამდენად საინტერესო იყო მასზე მუშაობა?

— ეს ძალიან საინტერესო პროცესი იყო. წარმოდგინეთ, ყველა აზრი, ყველა ფრაზა ჩემს თავში გაღვლია და რაღაც სხვადავად გადადნა, სხვა ენობრივ ყალიბში მოექცა. განუმეორებელი გამოცდილებაა, რომელსაც ვერაფერს შევადარებ. სირთულეს რაც შეეხება, მას პირველივე აზრის შემდეგადაც მივხვდი, რომ საკუთარი პოზიცია დასაწყისშივე უნდა განმეხალავრა. ვგულსხმობ, ჟარგონის და საერთოდ, იმ სიტყვების გამოყენებას, რომლებშიც სექსუალური აქტი, სქესობრივი ორგანოები აღინიშნება სასაუბრო ენაში. მათი ფრანგული შესატყვისები იმდენად „გაცვეთილია“, იმდენად ყოველდღიური მოხმარებისაა, რომ უმრავლეს შემთხვევაში, ნეიტრალურ მინაარსს ატარებს და საგანს თუ ქმედებას ისევე აღწერს, როგორც სიტყვები „ჯოხი“ ან „სირბილი“. ის, რაც ფრანგულად ნეიტრალურად ჟღერს, ხშირ შემთხვევაში, ქართულ თარგმანებში უხამსობად მოჩანს და მკითხველს მცდარ ემოციურ ფონს უქმნის — აი, ამის თავიდან არიდება მინდოდა. მეორე მხრივ, სტილიური, სამედ-ციკინო ტერმინების გამოყენებაც გაუმართლებელი იქნებოდა. ახლაც არ ვიცი, ეს როგორ მოვახერხებ — სცილასა და ქარიბდას შორის გავიარე.

— რამდენადაც ვიცი, თქვენს საყვარელ მწერლებს შორის არის მარკიზ დე სადი. რით მოგხიბლათ ამ ავტორმა? კონკრეტულად რომელიმე ნაწარმოები მოგწონთ? მის თარგმანსაც ხომ არ აპირებთ?

— თუ ოდესმე ნიგნის თარგმანს ისევე გადავწყვეტ, ეს მარკიზ დე სადის ერთ-ერთი ვრცელი ტექსტი იქნება. სადი სრულიად გამორჩეული ავტორია არა მხოლოდ ისტორიულ კონტექსტში, მე-18 საუკუნის მეორე ნახევრის ფრანგ მწერალთა შორის, არამედ, ზოგადად, მსოფლიო ლიტერატურაში. მწერალი, რომელიც ყოველთვის ახერხებდა ჩემს განცვიფრებას (შეგნებულად არ ვხმარებ სიტყვას „შოკირებას“. სადის კითხვის დროს განცვიფრებული და აღფრთოვანებული ვარ და არა შოკირებული ან თავზარდევნილი). სხვათა შორის, უელბეკის ერთ-ერთ ლიტერატურულ წინამორბედად სწორედ მარკიზ დე სადი მოიაზრება, თუმცა მე ისინი ქრონოლოგიური თანმიმდევრობით აღმოვაჩინე. მისი რომანებიდან კი „ჟიუსტინს“ გამოვყოფდი — დღემდე მახსოვს, როგორი მძაფრი ემოციური ზემოქმედება მოახდინა ჩემზე ამ ნიგნმა. კითხვა გორი — თბილისის ავტობუსში დავიწყე და მივხვდი, რომ მანამდე მსგავსი არაფერი წამეკითხა. დროის, სივრცის განცდა დავკარგე.

— ავტორი, რომელსაც სიამოვნებით თარგმნიდით და ავტორები, რომელთა ნაწარმოებებიც, თქვენი აზრით, აუცილებლად უნდა იყოს ქართულ ენაზე. საერთოდ, საინტერესოა, როგორ არჩევთ სათარგმნ „მასალას“?

— რომ არსებობდეს ირმა ტაველიძე, რომელიც მხოლოდ თარგმნელი იქნებოდა, ის თარგმნიდა სირანო დე ბერკერაკს, მაღამ დე სევინიუსს, მარკიზ დე სადს, მარსელ პრუსტს, ჰენრი ჯეიმსს, ჯოზეფ კონრადს, ვიტოლდ გომბროვიჩს, გერტრუდ სტაინს, ფილიპ სოლოერსს, ჯულიან ბარნსს და სხვა ბევრ კარგ მწერალს. უცნაური კოქტეილი გამოვიდა, არა? ჩანოთვლილ მწერლებზე ერთი რამ აერთიანებთ: მე მათ დიდი ინტერესით ვკითხულობდი და ისინი ჩემზე ზემოქმედებდნენ, მცვლიდნენ.



ყველა, ვინც დავასახელებ, ქართულ ენაზე აქამდეც უნდა ეთარგმნათ, თუმცა უზარისხო თარგმანს ალბათ მაინც დღევანდელი მდგომარეობა სჯობს: მწერლები თავის დროს, თავის მთარგმნელებს ელიან.

აქვე იმასაც ვიტყვი, რომ თავიდან სათარგმნად მხოლოდ ისეთ ტექსტებს ვირჩევდი, რომლებიც ძალიან მომწონდა. ბუნებრივად მიხდოდა, რომ ისინი ჩემს მეგობრებსაც წაეკითხათ. მე რე მალხაზ ხარბედიამ შემომთავაზა თანამშრომლობა „24 საათში“ ლიტერატურულ დამატებაში და სათარგმნ ტექსტებსაც, უმთავრესად, თვითონ მიგზავნიდა. შეიძლება ითქვას, რომ მთარგმნელად მან მაქცია, რის გამოც მისი უზომოდ მაღლიერი ვარ. მიუხედავად ამისა, შარშან, ნიგნების ფესტივალზე აღმოვაჩინე, რომ ყველა, ვინც მხვდებოდა, მეკითხებოდა: „რას თარგმნი?“ არადა, ძალიან მინდოდა, ეკითხათ: „რას წერ?“ გადაწყვეტილება იოლად მივიღე: რაც შეიძლება, ნაკლები უნდა ვთარგმნო და გამოთავისუფლებული დრო წერას დავეთმო.

— თქვენ, როგორც მკითხველს, ალბათ გინევთ, გაცნობთ სხვათა თარგმანებსაც, როგორ ფიქრობთ, რამდენად ხარისხიანია ის პროდუქცია, რასაც ქართველი მთარგმნელები მკითხველს აწვდიან?

— სჯობს, პირდაპირ ვთქვა: არ მომწონს ნიგნად გამოცემული თუ ლიტერატურული პერიოდიკაში გამოქვეყნებული ნათარგმნი ტექსტები, მუდმივად უკმაყოფილო ვარ თარგმანის ხარისხით. რაღაცნაირი, მკვდრადმოხიდიანი ნაშუშევრებია. გამოიწვევს იმდენად იშვიათად მხვდება, რომ თუ კარგ თარგმანს ნაწვანდო, სიხარულს ვერ ვმალავ ხოლმე. ბოლოდროინდელი თარგმანებიდან გამომდინარე ქეთი ქანთარიას ნათარგმნი პოლ ოსტერის „ნიუ იორკულ ტრილოგია“, სოფიო ბენდიაშვილის ნათარგმნი ჟან მარი გუსტავ ლე კლეზიოს „უდაბნოს“ და თამარ კოტრიკაძის ნათარგმნი რეი ბრედბერის „ბაბუანგერას ლენოს“. სამწუხაროდ, ქართულად არ წამიკითხავს მუზილის „უთვისებო კარი“ და ვაშუქის „მე მქვია ნითელი“ — როგორც ამბობენ, ორივე ძალიან კარგი თარგმანია.

— და ბოლოს, რაზე მუშაობთ ამჟამად და რას უნდა ელოდოს მკითხველი უახლოეს მომავალში როგორც მთარგმნელი, ასევე მწერალი ირმა ტაველიძისგან?

— პროზას. ყოველ შემთხვევაში, ეს ის არის, რასაც საკუთარი თავისგან ველი. დეტალური პროგნოზისგან თავს შევიკავებ. არ ვიცი, რამდენად მოვახერხებ მთარგმნელობითი საქმიანობის მაქსიმალურად შეზღუდვას (ყოველთვიე გადასახადები ხომ უნდა გადავიხადო!). ზოგადად, როცა წერას იწყებ, არასდროს ვიცი, საბოლოოდ რა გამოვა, რა სახეს მიიღებს ის, რაც ჩემს თავში ბუნდოვანი იდეის, სახელდახელო მონახაზის სახით არსებობს. ჩემთვის წერა სასიცოცხლოდ აუცილებელია — ეს ზუსტად ვიცი. ასე რომ, მორიგი ექსპერიმენტების, წარმატებისა და წარუმატებლობისთვისაც მზად ვარ.

მკითხველი ჩემს ახალ თარგმანებს მალე „ამერიკული მოთხრობის ანთოლოგიაში“ ნახავს, რომელსაც „ბაკურ სულაკაურის გამოცემლობა“ გამოსცემს. გასულ წელს ამ პროექტისთვის ჰერმან მელვილის, ჰენრი ჯეიმსისა და ჯონ აკადაიკის მოთხრობები ვთარგმნე. როგორც ხედავთ, ხანდახან ცდილობს ვერ ვუძლებ ხოლმე. დიდი ხანია, უნა შენეს პიუსის — „მოახლებების“ თარგმნაზე ვფიქრობ, თუმცა ამისთვის სერიოზული მოტივაცია მჭირდება — მინდა, რომ ამით რომელიმე თეატრი დაინტერესდეს და ეს შესანიშნავი პიესა სცენაზე გაცოცხლდეს.

ლაშა ბაქრაძე:

„ეს არის XIX-XX საუკუნეების ქართული ლიტერატურის ყველაზე დიდი არქივი“

საქართველოს გიორგი ლეონიძის სახელობის ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის შექმნას საფუძველი 1929 წელს დაედო, მაშინ დაიწყო არსენიშვილმა — სამუზეუმო საქმის საუკეთესო მცოდნემ — ალექსანდრე გრიბოედოვის ასი წლისთავთან დაკავშირებით გამოფენის მოწყობა განიზრახა. ლონისძიების მომზადებისას XIX საუკუნის თბილისის კულტურული ცხოვრების ამსახველი მდიდარი მასალა შეგროვდა, საინტერესო არქივებს ოჯახებშიც მიაკვლიეს. გამოფენის შემდეგ, რუსი მწერლის მუდმივმოქმედი მუზეუმის გახსნა გადაწყდა. მასალის ტერიტორიაზე განთავსებულმა ახალმა მუზეუმმა მთაწმინდაზე დაკრძალულ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა ხელნაწერების, პირადი ნივთებისა და სხვა სამუზეუმო ექსპონატების შეგროვება დაიწყო. ერთი წლის შემდეგ ტიციან ტაბიძის, გიორგი ლეონიძისა და სხვა ქართველ მწერალთა თაოსნობით „მთაწმინდის მწერალთა მუზეუმის“ შექმნა, დანაწილებული საქმის ბუნებრივ გაგრძელებად იქცა. მალევე, მუზეუმის გამგედ გიორგი ლეონიძე დაინიშნა.

1930 წლიდან სახელმწიფო მუზეუმია, მუზეუმს სახელმწიფო სტატუსი მიენიჭა და იგი თბილისის ერთ-ერთ ძველ, ისტორიულ შენობაში განთავსდა. დღეს მუზეუმში დაცულია 145,463 ექსპონატი, მათ შორის — 101,301 ხელნაწერი, 12,613 უნიკალური ნიგნი, 25,892 ფოტო ორიგინალი, მრავალი ფერწერული და გრაფიკული ნიმუში, სკულპტურა, უნიკალური ნეგატივი, მემორიალური ნივთი თუ ფოტო ალბომი. თუმცა ძალიან მნიშვნელოვანი ფონდების მოვლა-პატრონობის გარდა, მუზეუმი სხვა, არანაკლებ მნიშვნელოვან მიმართულებებსაც აწვდიდა და აქტიური ყოველდღიურობით ცხოვრობს. ყველაფერ ამაზე მუზეუმის დირექტორი ლაშა ბაქრაძე გვესაუბრება.

— ლიტერატურის მუზეუმი საკმაოდ დიდი ისტორიისა და ტრადიციების მქონე ინსტიტუციაა...

— მიუხედავად იმისა, რომ ინსტიტუციას სახელად ლიტერატურის მუზეუმი ჰქვია, შეგვიძლია ვთქვათ, ეს არის არქივი — XIX-XX საუკუნეების ქართული ლიტერატურის ყველაზე დიდი არქივი. უამრავი ხელნაწერისა და ნიგნის გარდა, ჩვენთან ინახება მემორიალური ნივთები, უნიკალური ფოტოები, რომლის მსგავსიც საქართველოში არსად არის. ამ მხრივ მუზეუმის მნიშვნელობა მართლაც დიდია. ასეთი ტიპის ინსტიტუცია იმდროინდელ საბჭოთა კავშირში პირველი იყო. მოსკოვში, ლენინის სახელობის მთავარ სახელმწიფო ბიბლიოთეკასთან არსებული ლიტერატურის მუზეუმი სხვა მსგავს ინსტიტუტებთან მხოლოდ 1934 წელს გაერთიანდა და დიდ მუზეუმად ჩამოყალიბდა, მეზობელ რესპუბლიკებში კი გაცილებით გვიან წამოიწყეს ეს საქმე. ასე რომ, ჩვენმა მუზეუმმა, გარკვეულწილად, მაგალითი მისცა სხვა რესპუბლიკებს, თუ როგორ უნდა ყოფილიყო ლიტერატურის თანამედროვე არქივი.

— თუ არ ჩავთვლით 50-იანების ბოლოს გამართულ ერთწლიან ექსპოზიციას, რომელზეც XIX საუკუნის მწერლობა იყო წარმოდგენილი, ლიტერატურის მუზეუმს მუდმივმოქმედი გამოფენა არასოდეს ჰქონია. ამგვარი განძობისთვის მქონე მუზეუმში მუდმივმოქმედი ექსპოზიციის ნახვა ალბათ უამრავ ადამიანს დაინტერესებს. რამდენად ვიცით, თქვენს სამომავლო გეგმებში შეიძლება კიდევ ასეთი გამოფენის ორგანიზება?

— რასაკვირველია ვფიქრობთ ამაზე. ვაპირებთ მუდმივმოქმედი ექსპოზიციის სახით XIX—XX საუკუნეების ქართული ლიტერატურა წარმოვადგინოთ. თუმცა ამას ძალიან სერიოზული მომზადება, კონცეფციის შემუშავება სჭირდება. პრობლემა დგას ასე — როგორ უნდა ვუჩვენოთ ლიტერატურა ადამიანებს? აქ მხოლოდ გამოფენის ტექნიკური, ვიზუალური გადაწყვეტა არ არის საქმე (უცხოელებს აქვთ ამის გამოცდილება და შეიძლება დავიხმართო ისინი). სირთულე ისაა, მინარსობრივად როგორ ვაძლიერებთ ისეთი ეპოქა — სადაც წინააღმდეგობებით, ტერორით — როგორც XX საუკუნეა. ამ თემაზე მხოლოდ მუზეუმის მუშაობა არ კმარა. ვფიქრობ, აუცილებელია რამდენიმე მსხვილი მონოგრაფიის შექმნა გასული საუკუნის ქართულ ლიტერატურაზე. უნდა გაიმართოს — ამას ვაპირებთ კიდევ — პერიოდული გამოფენები, სადაც XX საუკუნის ქართული მწერლობა განსაკუთრებით საინტერესოდ, თანამედროვედ იქნება წარმოდგენილი და ნებისმიერი ასაკის დამთვალიერებელს ახლებურად დაინახებს მას.

— რადგან XIX-XX საუკუნეების ქართული ლიტერატურის სამომავლო გამოფენაზე ვსაუბრობთ, აქვე გვითხვით ერთ მეტად მნიშვნელოვან არქივის — რეპრესირებულ ქართველ მწერალთა „საქმეების“ შესახებ, რომელიც ერთხანს ამ მუზეუმში ინახებოდა...

— იმ არქივს საოცარი ისტორია აქვს. „საქმეები“ უშიშროების კომიტეტიდან გადმოიტანეს. მნიშვნელოვანია, მუზეუმის ფონდი მუდმივად ივსებოდა, მნიშვნელოვანია, საზოგადოება იცოდეს, რომ ისტორიული რელიქვია აქ უკეთ იქნება დაცული და როგორც წინათ ხდებოდა, ახლაც ვადმოგვცემდნენ სხვადასხვა მწერლის თუ საზოგადო მოღვაწის პირად არქივებს, ოჯახებში რომ ინახება... მიუხედავად ამისა, მივიჩნევ, რომ თავის დროზე უშიშროების კომიტეტის არქივიდან

მასალები სხვადასხვა ფონდებში არ უნდა გადაენახლებინათ. მივიჩნით, რომ ეს იყო გარკვეული მცდელობა მნიშვნელოვანი დოკუმენტების უკეთ შენახვისა. სამწუხაროდ, ზვიად გამსახურდიამ, მისი პრეზიდენტობის პერიოდში ისურვა რეპრესირებულ მწერალთა საქმეები მთავრობის სასახლეში გადაეტანათ. ამბობენ — ხაზს ვუსვამ — ამბობენ, რომ თბილისის ომის დროს ეს მასალები დაინგრა. მიუხედავად იმისა, რომ უშიშროების მასალები ძალიან კრიტიკულ შესწავლას საჭიროებს, უაღრესად მნიშვნელოვანი იქნებოდა ხელთ გვექონოდა ის „საქმეები“. არსებობს მხოლოდ მიხეილ ჯავახიშვილის „საქმის“ ასლი, თუმცა მისი ნაწილი დაზიანებულია. ჩვენ ამ დოკუმენტის გასაცემას ვაპირებთ, ეს აუცილებელია არამხოლოდ იმის გამო, რომ მიხეილ ჯავახიშვილი უდიდესი ქართველი მწერალია, არამედ იმიტომაც, რომ მკითხველს წარმოადგენს შექმნას, თუ როგორ „იკრებოდა“ მსგავსი „საქმეები“ და რისი გავლა მოუხდა ქართველ მწერლობას, საერთოდ — საზოგადოებას.

— ლიტერატურის არქივი განძია ქვეყნისთვის, ჩვენი კულტურის უმნიშვნელოვანესი ნაწილია და ბუნებრივია, რომ მისი დაცვა, განახლება თუ შესწავლა მუზეუმის მთავარი პრიორიტეტია. თუმცა არსებობს სხვა მიმართულებები, რომელზეც სერიოზულად მუშაობთ...

— არქივის გარდა, მუზეუმის საქმიანობა კიდევ ორ ძირითად მიმართულებას ემყარება. ეს გახლავთ კულტურული ღონისძიებები და საგამომცემლო საქმე.

კულტურულ ღონისძიებებში იგულისხმება როგორც სხვადასხვა შინაარსის შეხვედრები, ასევე გამოფენები... არ გეგნობთ, რომ ეს მხოლოდ ლიტერატურას ეხება, ვსაუბრობთ კულტურაზე ფართო გაგებით. მაგალითისთვის გეტყვი, მრდუნამდე განხორციელებული იქნებოდა ერთ-ერთი ყველაზე საინტერესოა გერმანული ხელნაკეთი ნიგნების გამოფენა, რომელიც გასულ წელს შედგა. მსგავსი გამოფენა საქართველოში არასოდეს ყოფილა, გერმანიაშიც კი იშვიათად იმართება. წარმოდგენილი იყო ნიგნი უსინათლოთათვის. ბრაილის შრიფტით შედგენილი გამოცემაზე არ ვსაუბრობ, არა. ეს იყო ნიგნები, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია იგრძნო ხელოვნება, შეეხო ბალახს, ფოთოლს... სხვა გამოფენებიც გაიმართა, ახლა ჩამოთვალას არ დავიწყებ.

მომავალში ერთ საინტერესო გამოფენას ვგეგმავთ. საცავში აღმოვაჩინეთ შუშაზე ალბეჭდილი ნეგატივები. ეს ამბაკო ჭელიძის დაკვეთით 1928 წელს ირანში გადაღებული ფოტომასალების ნეგატივებია. ამბაკო ჭელიძემ ფერეიდუნ ქართველზე დაწერა ნიგნი, რომელსაც მართალია არანაირი პოლიტიკური დატვირთვა არ ჰქონდა, მაგრამ საბჭოთა წლებში მაინც შეკვეცილი სახით დაიბეჭდა. ახლა მის სრულად გამოცემას ვაპირებთ. ამასთან ერთად გამოვფენთ ფოტომასალას, რითაც ასე მდიდარია ჭელიძის ფონდი. ის ნეგატივებიც დაიბეჭდება. ვფიქრობ, 20-იანი წლების ირანის ნახვა საკმაოდ საინტერესო იქნება საზოგადოებისთვის. აღსანიშნავია ისიც, რომ არქივში მოძიებული მასალის დიდი ნაწილი ირანის ცნობილ ფოტომემატიანეს — ანტონ სევრუგინს ეკუთვნის. ის რუსი დიპლომატის ვაჟი გახლდათ, დედი ქართველი იყო. თეირანში დაიბადა, მაგრამ მამის გარდაცვალების შემდეგ დედამ საქართველოში ჩამოიყვანა, აქ იზრდებოდა. ერმაკოვმა ურჩია ირანი ალბეჭდა ფოტოზე. ამბაკო ჭელიძე, როგორც ჩანს, უკვე ღრმად მოხუცებულ სევრუგინს ირანში შეხვდა და მისი ფოტონამუშევრები შეიძინა. სევრუ-

გინს მსოფლიოში კარგად იცნობენ, ნები-სმიერი სერიოზული არქივი მის ფოტოებს დიდ შენახუნად თვლის, ჩვენთან მის შესახებ არაფერი იცინა.

პერიოდულად ვაწყობთ შეხვედრებს ქართველ მწერლებთან, იმართება დისკუსიები სხვადასხვა თემებზე. მომავალში ასეთი ღონისძიებები უფრო ინტენსიურ ხასიათს მიიღებს. სამწუხაროდ, ფინანსური საშუალება არ გვაქვს, რომ უცხოელი ავტორებიც მოვიწვიოთ. ასეთი ურთიერთობები აუცილებელია იმისთვის, რომ ქართული კულტურა საკუთარ წევრში არ იხარუბოდეს და გარკვეულ კონტექსტში განვითარდეს, მსოფლიო კულტურასთან ინტეგრირება შეძლოს. სამწუხაროდ, ამ მიმართულებით სპონსორები ნაკლებად ინტერესდებიან. ერთადერთი ფინანსური მხარდამჭერი, რომლის მიმართ მაღალი იქნება მინდა კიდევ ერთხელ გამოვხატო კომპანია „მათი“ ვახლავთ. ის საგამომცემლო საქმეში გვეხმარება.

— ახლა ამ მიმართულებაზე ვისაუბრობთ.

— საგამომცემლო საქმიანობა ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენი მუზეუმისთვის. საარქივო გამოცემების გარდა, ბევრი სხვა ნიგნიც გამოვეცით და გვინდა ეს მიმართულება კიდევ უფრო მრავალფეროვანი გახდეს.

მუზეუმის საარქივო გამოცემებიდან უმნიშვნელოვანესია გალაკტიონ ტაბიძის ოცდაექვსტომეული, რომელშიც ტექსტები გარდა, შესულია სურათები და ბევრი სხვა მემორიალური მასალა. გალაკტიონის სხვა უფრო დიდი გამოცემა არ არსებობს.

ზემოთხსენებული ამბაკო ჭელიძის ნიგნის გარდა, მალე გამოვა ქართველ მწერალთა ფუნაგორიები, რომელსაც მუზეუმში (და არამარტო ჩვენთან) შენახულ კარიკატურებსაც დავურთავთ.

გარდა ამისა, ვმუშაობთ ვაჟას საიუბილეო ალბომის გამოცემაზე (მიუხედავად იმისა, რომ ბევრის ვარაუდით ის 1861 წელს დაიბადა, ჩვენ ვაჟას დაბადების თარიღად, როგორც თვითონ აქვს ნათქვამი, 1862-ს მივიჩნევთ და იუბილეს მომავალ წელს აღვნიშნავთ). ალბომთან ერთად, რაზიკაშვილების ოჯახის მიმონერასაც გამოვეცით, რაც ვფიქრობ, საინტერესო იქნება მკითხველისთვის.

სურვილი გვაქვს, ასევე, განვახორციელოთ ე.წ. რეპრინტები — ძველი ჟურნალებისა თუ ნიგნების იმავე სახით გამოცემა. მაღალი ხარისხის რეპრინტი საკმაოდ რთული შესასრულებელია — ქალაქი, გარეკანი, ყველა სხვა დეტალი ისეთივე უნდა იყოს, როგორც ორიგინალს აქვს. პირველი მცდელობა მალე შედგება, ვფიქრობ საზოგადოებას სასიამოვნო სიურპრიზს ვუმზადებთ.

— იმ გამოცემების მომზადებას, რომელზეც ახლა ისაუბრეთ, ძალიან დიდი შრომა და ადამიანური რესურსი სჭირდება.

— რასაკვირველია, უზარმაზარი სამუშაოა ჩატარებული. ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია მოვამზადოთ მაღალი აკადემიური ხარისხის გამოცემები (პირთა სიძიებლებით, კომენტარებით და ა.შ.), რომელსაც საფუძვლად ედება მეცნიერული კვლევა. ამის გარეშე ნიგნებს არ გამოცემთ.

დიდი ხანია, რაც მუზეუმში გრიგოლ რობაქიძის ოთხტომეულზე მუშაობა მიმდინარეობს. გამოცემაში თავმოყრილი იქნება ყველაფერი, რაც კი ამ მომენტისთვისაა მოძიებული. მათ შორის ფოტოები, ნერილები და ა.შ. გასულ ზაფხულს ზალცბურგმა, მტეფან ცვაიგის ცენტრში ვიყავი. რობაქიძისა და მტეფან ცვაიგს დიდი მიმონერა ჰქონდათ. როგორც მოს-



ალოდნელი იყო, ცენტრში ამის შესახებ არაფერი იცოდნენ. თუმცა შემდეგ, მათივე დახმარებით, ცვაიგისადმი მიწერილი 70 წერილს ამერიკაში მივაცენით. ასლები უკვე ზალცბურგშია და ახლა ვადმოგზავნას ველოდებით. მოგესხენებათ, რობაქიძეზე თვითონ ვმუშაობდი... ახლადმოიცინებთ ციკლოტანს მიმონერის ასლებს, ერთ-ერთი გერმანული არქივიდან. ასევე, დაგვირდნენ საჩუქრად გამოგვცენ რობაქიძის ცხოვრების ბოლო პერიოდის უაღრესად საინტერესო წერილების ორიგინალები.

— პერიოდული შურნალის გამოცემა თუ გეგმავთ? თუ არ ვცდებით, მუზეუმი გასული საუკუნის შუა წლებში „ლიტერატურის მატიანეს“ გამოსცემდა.

— „ლიტერატურის მატიანე“ იყო ძალიან საინტერესო სამეცნიერო შურნალი, რომელშიც ქვეყნდებოდა საარქივო მასალა ქართული ლიტერატურის შესახებ. 6 ნომერი გამოვიდა. უახლოეს მომავალში მუზეუმის ინტერნეტ გვერდის გაკეთებას ვაპირებთ, საიტზე დაიდება მუზეუმში დაცული დოკუმენტები, ფოტო არქივი და ყველა სხვა მასალა. ასევე დაგვებთ „ლიტერატურის მატიანეს“ ყველა ნომერსა და იმ ნიგნებსაც, რაც აქამდე გამოვეცით.

ელექტრონული ბაზის ქონა აუცილებელია თანამედროვე ეპოქის მუზეუმისთვის. ჯერ ერთი, ორიგინალს ნაკლებად შეეხებით და ამით სიცოცხლეს გავუხანგრძლივებთ. გარდა ამისა, ვებსაიტის საშუალებით ნებისმიერი დაინტერესებული ადამიანისთვის ჩვენთან არსებული ტექსტუალური თუ ვიზუალური მასალა ხელმისაწვდომი გახდება.

— თქვენთან იმდენი რამ კეთდება, რომ გულდასაწყვეტიც არის — ინტერნეტ გვერდის არარსებობის გამო მუზეუმის დატვირთული ყოველდღიურობა ბევრისთვის დაფარული რჩება...

— ულგევი სამუშაოა. ყოველდღიური ცხოვრება გარედა მართლაც არ ჩანს. მაგალითად, ახლა ერთი პატარა ღონისძიების გამართვას ვაპირებთ: ცნობილი კოლექციონერი და მთავარი ადამიანი მუზეუმს ათი ათასზე მეტი ნიგნი გადასცა საჩუქრად, რაც მართლაც დიდი მამულიშვილობაა. გვინდა ეს ადამიანი და მისი კეთილი საქმიანობა საზოგადოებას გავაცნოთ. მის მიერ გამოცემული სხვადასხვა თემატიკის ნიგნებით, ძველი პერიოდიკით მუზეუმი ძალიან გამდიდრდა. ამ მასალის აღწერას, კატალოგის შექმნა უზარმაზარი სამუშაოა, ის ყოველდღიურობაა რაზეც ვსაუბრობდით. მეორე საკითხია, სადა განვათავსებთ ამ ათასობით ნიგნს. მართალია, გვაქვს მშვენიერი შენობა, მაგრამ ის გასარემონტებელია, ახალი სამკითხველო და საბიბლიოთეკო დარბაზიც გასაკეთებელი იქნება და თაროებიც შესაძენი. იმ საცავებში სადაც ქართული კულტურის უძვირფასესი მასალა სავენტილაციო სისტემა ვაუქმართავია, ტემპერატურას და ტენიანობას ვერ ვარეგულირებთ.

ამგვარი მნიშვნელობის მუზეუმის მოვლა-პატრონობა, ვფიქრობ, მხოლოდ სახელმწიფოს ინტერესს არ უნდა წარმოადგენდეს. კარგი იქნება თუ როდესმე კერძო პირებიც გამოიჩენენ ყურადღებას ასეთი ინსტიტუციების მიმართ. მაგალითად, თავის დროზე „ქართული ფონდს“ ჰქონდა შესანიშნავი გეგმა ჩვენი მუზეუმის რესტავრაციისა და იმედია, ფონდი ამ კეთილ განზრახვას მალე უკან დაუბრუნდება.

სტუდენტობაში „ბორშითა“ და „ბიე-სტიქსით“ გაბეზრებული ჩვენ სამნი ძმანი, ლექციების შემდეგ ფეხით წამოსულნი ხანდახან სადღაც რაღაცას შევჭამდით ხოლმე. უფრო კი სტუდენტობის ქვემოთ, ჭაჭაყაყადის გამზირზე დიდი „სასადილო“ იყო, იქ შევდოდით ხარწოს საჭმელად.

ერთხელაც ასე რომ შევედით, ვხედავთ თითქმის ცარიელი დარბაზის კუთხეში მაგიდასთან გალაკტიონი ზის მარტო, წინ მათლაფა და ერთი ღვინიანი ბოთლი უდგას. დინჯად წამდა, იმშუმებოდა, შიგადაშიგ კი ღვინოს აყოლებდა ისე, როგორც ჩვენ ლიმონათს. განგებ ვაჭიანურებდით ჭამას. ველოდით რას იზამდა, როდის გავიდოდა. მალევე გამოცალა ბოთლი, „შლიაპა“ დაიხურა და მძიმე-მძიმედ ხვნე-შით გავიდა. ასევე მძიმე, აურჩქარებელი ნაბიჯით გაუყვა ქუჩას ჩვენი მიმართულებით — სტუდენტობისაკენ. მივყევით ჩვენც ელქეშად. დროდადრო ჩერდებოდა, მუჭაში ჩამალულ ბლოკნოტსა თუ დაკეცილ ქალაქულ რაღაცას ინერდა. ასე მივალნიეთ სტუდენტობის ქალაქის შესასვლელამდე, საიდანაც წყნეთის ავტობუსი გადიოდა. აქ ხშირად იდგა ხოლმე იმ ავტობუსის მოლოდინში. ერთი გრძელცხვირა, ცალკარიანი ავტობუსი დადიოდა. როგორც კი ჩამოდებოდა, იხუვლებდნენ იქვე მომლოდინე წყნეთელები, მიაწყდებოდნენ ხან და ვინ უგდებდა ყურს გალაკტიონს! ხან იქიდან ეხეთქებოდნენ, ხან აქედან, ხან იქით გაფრიალდებოდა მისი ნაცრისფერი ლაბადის ბოლო, ხან — აქეთ. ყველა რომ ავიდოდა, ავტობუსი გაიტყენებოდა, ის ისევე აშაოდ ცდილობდა კიბეზე ფეხის შედგმას, შიგნით სადმე ხელის მოჭიდებას. „კარი დამაკეტიანეთ! კარი დამაკეტიანეთ!“ — აყვირდებოდა მძლოლი, დაიძრებოდა ავტობუსი და დარჩებოდა გალაკტიონი.

ერთხელ ასეთ ამბავსაც შევესწარი: ასეთ ჯგუფში მოყოლილ გალაკტიონს, „მკერდს მიიღებელი“ ჰქონდა რაღაცით სავსე ქალაქის პარკი. როცა ხელიდან გააგდებინეს და ძირს, ფეხებში გაიშალა, ის რაღაცა ბაზარში წაყიდა კიტრი, პამიდორი და რეჰანის ორივე კონა აღმოჩნდა. მივირბინე, რომ მეც მივხმარებოდი აკრეფაში, მაგრამ ქალაქის პარკში დახეტოილი პამიდორის ჩაყრა აღარ შეიძლება. კიტრი აუვროფე და მივანოდე. უხმოდ გამომართვა, უხმოდ მდგარმა, ბავშვივით გაბუტულმა.

ჰოდა, აი, მაშინაც, ჩვენ რომ ავედევნეთ, იმ ავტობუსის მომლოდინე წყნეთელებთან მივიღე. ახალგაზრდები, მამაკაცები უმალ შემოეხვივნენ გარს ჩვეულებრივი თხოვნით: ლექსი გვითხარი, ძია გალაკტიონო! ეს თხოვნა ყოველთვის აგდებულ და დაზღვანდარული იყო. გალაკტიონმა მკერდზე ჩამოფენილ ჭალარაშერულ წვერზე ჩამოსივა ხელი და თავისებური დიქციით, მაგრამ უნადინოდ წარმოთქვა:

„გეკავოთ, რაც უღრანია, ავესოთ, რაც ხარვეზია, სამშობლო არ დაივიწყოთ, სამშობლო უმთავრესია.“

— კიდევ რა, ძია გალაკტიონ! სხვა კარგი ლექსები რომ იცი, ისეინ გვითხარი! — რომელი ლექსები მოგონონ ჩემი, ბიძიკოებო?

— რა ვიცი, შენ რომელიც უფრო მოგონონს, ის გვითხარი! — ეჭაჭებოდა ერთი ახალგაზრდა, რომელსაც აშკარად ეტყობოდა, რომ მემანვანე იყო მხოლოდ.

— **კარგი, ბიძიკოებო... „თასს, სადღეგრძელოს ხელში ავიღებ ასსა და ათასს, დე ესმოდეო: ერთმანეთის გატანა ვიცით, შეხედეთ ამ თასს, მეგობრებო, შეხედეთ ამ თასს, იგი სასესა არა ღვინით, არამედ ფიცით.“**

მე ეს ლექსიცა და სხვა მისი ყველაზე მეტად ცნობილი ლექსები ზუპირად ვიცოდი. მან სიტყვა „მეომრებო“ შეცვალა სიტყვით „მეგობრებო“, რადგან მის ირგვლივ მეომრები კი არა, არც მეგობრები იდგნენ. ეს იყო იმ საზოგადოების დაბალი ნაწილი, ვინც გალაკტიონს გიჟბოტებს, ლოსთ ეძახდა მხოლოდ იმის გამო, რომ პარტიასა და ხელისუფლებას არ ედგა გვერდში, უარს ამბობდა „ნორმალურ“ ცხოვრებაზე. ასეთი პოზიციის კაცს კი კომუნისტები, თუნდაც გენიოსს, ტალახში ამოსვრიდნენ. ბრბოს ამისი გარჩევა

გიგი ხორნაული

გ ა ლ ა კ ტ ი ო ნ ი

მოგონებათა წიგნიდან

სად შეუძლია. და, აი, ამ ბრბოს ისედაც სულ შიშის ქვეშ მყოფი გალაკტიონი კაპრიზებს უსრულებდა, თანაც თითქოს მიაინიშნებდა: ჩვენ ერთმანეთი უნდა გავიტანოთ! ვინ იყო ამის გამგებნი. წყნეთელი მემანვანე, ბრბოს სიცილით ნახალსებული, კვლავ ლაზღანდობდა:

— ძია გალაკტიონ, ღვინო უფრო გიყვარს თუ ლექსები?

— ახი არ იქნება, ამ ხეპრეს ღვინო ერთი სივანეთში! — გადმომილაპარაკა უჩამ. ჩვენ წინ მდგომმა ქალებმა მოიხედეს.

— მეც ეგ აზრი მიტრიალებს, — ვუთხარი და იმ მოლადავეებს გადავძახე, — თქვენ რომ იცოდეთ, ვის ელაპარაკებით, ცოტა მორიდებულნი იქნებოდით, პატივს სცემდით! იცოდეთ, ეხლა ავტობუსი რომ ჩამოდებდა, პირველი ბატონი გალაკტიონი აბრძანებდა!..

ზედაც შემოუხვია ავტობუსმა. ხალხი გავნი-გამოვნიე და კართან გავჩერდი.

— აბა, გამოატარეთ ბატონი გალაკტიონი! — ვუყვირე შეტეხებულ ხალხს.

— მაღლობა, ბიძიკოებო! — წყნარად თქვა გალაკტიონმა, ოდნავ ასნია „შლიაპა“ და დინჯად გამოიარა „დერეფანში“, ავიდა, წინა სკამზე ჩამოჯდა და ერთხელ კიდევ გადავიხადა მაღლობა.

— აი, ასე უნდა სცეთ პატივი ჩვენს უპირველეს პოეტს! — მივმართე დაღუმებულ წყნეთელებს. — ეხლა ადით! მხოლოდ ვერ ქალები აუშვით!

მარტო 1961 წელს დაარსდა, როცა მისი დაბადების ასი წლისთავი მსოფლიო მშობობით აღინიშნა, მაგრამ მანამდე ხალხს უკვე „დაბილიკებულნი“ ჰქონდა ჩარგლის გზა. ავგისტოს პირველ შვალის უამრავი ხალხი მოდიოდა საქართველოს ყველა კუთხიდან. ექსკურსიის ავტობუსების ტყევა არ იყო, ისე მანქანებისა. მათ შორის ერთი ავტობუსი მწერლებისაც ერიო ხოლმე.

1958 წლის ზაფხულშიც ასე იყო. საზეიმო მიტინგის დაწყებამდე მომსვლელნი ჯერ ვაჟას სახლ-მუზეუმში გადიოდნენ. ჩვენ, ყოფილმა ბარისხოს სკოლა-ინტერნატებში: მინდია არაბულმა, იოსებ ზურაბაშვილმა, ერასტე მთიბელაშვილმა, ვახტანგ ღრუბელაშვილმა და ადგილობრივმა ბიჭებმა გამოვლა, წნორის ძირში მოვიყარეთ თავი და მიტინგის შემდეგ ვგეგმავდით ჩვენც სადმე „ჩამოვმსხდარიყავით“ არაგვის პირას.

— ეეე, ბიჭებო, გალაკტიონი! — შესძახა მინდია. სახლ-მუზეუმიდან თავქვე ჩამოდიოდა მარტო, — ა, დედა ვაცხონე, როგორი ლომია! როგორ პორთფელს მაითრევეს, ეგ სულ ლექსებით აქვს გატენილი!

გამოსვლები, ლექსები, დუშეთის რაიონული ანსამბლის ნომრები, ხევისურთა დოლი — ყველაფერი მალე მომთავრდა და მთელი ხალხი ჩარგლისკარისაკენ დაიძრა, სადაც არაგვის ლამაზ, წნორებით და მურყნებით ჩაბურულ ჭალაში იმართებოდა ხოლმე „პურობა“ ისევე, როგორც ხატის საჯარეს. გიორგი ლენინძეს მკლავში გამოედო ხელი მამაჩემისთვის და მოსაუბრობდნენ. მამაჩემმა მიმიხმო, გააცნო ჩემი თავი. ბატონმა გიორგიმ სახელი შემიქო და მითხრა:

— ეხლა მე მამაშენს მანქანაში ჩავისვამ, შენ და შენი ამხანაგები მალე ჩამოდით, სუფრასთან მოგვემსახურეთო!

ჩქარა გამოვიარეთ. გვანტერესებდა მწერლების სუფრასთან ტრიალი. ერთი გრძელი მაგიდა იყო, მინაში ჩასობლი ბოძებზე განყოფილი, აქეთ-იქიდან ასევე მოწყობილი სკამებით. ჩვეულებრივ ამ სუფრასთან იყრიდა თავს — თუ ვინმე აღმინისტრაციის წარმომადგენელი ან საპატიო სტუმარი იქნებოდა — დაახლოებით ორმოცი-ორმოცდაათი კაცი.

ჩვენ რომ მივედით, სუფრობა ახალი დაწყებულ იყო. ბატონი გიორგი, თამადა ვენზე იდგა, სადღეგრძელოს ამბობდა. გალაკტიონი სუფრის ბოლოში ლიმონათის ყუთზე იჯდა. ბატონმა გიორგიმ მიმიხმო და მითხრა:

— აბა, ხორნაული, ბიჭები დატრიალდით, მწვადის შეწვაში მიეხმარეთ, ღვინის ჩამოსხმა-მოტანაში!

მე, იოსებ ზურაბაშვილი, ერასტე, მინდია სამწვადე ხორცის დაჭრას შევეუდეთ. რამდენიმე ადგილობრივი ბიჭი სხვა მალაროსკარელებთან ერთად ღვინო-ლიმონათის მიტანაზე დადგნენ. არა, უჩვენოდაც არ აკლდა სუფრას მომსახურე ხალხი, რადგან საამისო ორგანიზაციას ძირითადად მალაროსკარის კოლმეურნეობა აკეთებდა, დეკუუს კლავდნენ, მაგრამ, რაკი ბატონმა გიორგიმ დაგვაავალა, ჩვენც სიამოვნებით ჩავერთეთ. ვიცოდით, მათი ნასვლის შემდეგ ის დახვავებული სუფრა, მთელი სასმელ-საჭმელი, როგორც ყოველთვის, ჩვენ და მასპინძლებს დაგვრჩებოდა.

სუფრა ემზდი რომ შევიდა და ბატონი გიორგი მორიგი სადღეგრძელოსთვის წამოგდა (ის სათავეში, გადანახერს კუნძზე იჯდა), აღარ აცალეს, თავად მისი სადღეგრძელო წამოიწყო ვილაცამ. წამოიშალნენ და ატყდა ერთი ხოტბა-დიდება: თქვენი დონის ერის კაცი სხვა ვინა გვყავსო, ან თქვენისთანა პოეტი. გალაკტიონი მძიმედ წამოგდა, არაფერს ამბობდა.

— ილია ვარ, ილია! ეგრე არ არის, გალაკტიონ! — გადმოსძახა.

— ეგრეა, კი, — თავჩახრით ჩაიქირქილა გალაკტიონმა, — მაგრამ ერთი რამე ვაკლია ილიაობამდე! — მისი ნათქვამი ვილაცა ახლომჯდომმა მწერალმა მინოდ გაიორგი ლენინძეს.

— რა, გალაკტიონ?

— ტყვიან შუბლში!

ატყდა სიცილი. იცინოდა ბატონი გიორგიც. მან თავისი სადღეგრძელო უცებ გალაკტიონისაკენ შეატრიალა. მწვადის შეწვა მომთავრებული გვექნდა და ჩვენც გალაკტიონის აქეთ-იქით ვისხედით ისეთივე ლიმონათისა და „ბორჯომის“ ყუთებზე. მისი ნათქვამი ამიტომ კარგად გავიგონეთ. სიცილ-ხარხარისაგან ყურთასმენა არ იყო. გალაკტიონი ისევე ისე თავჩალუნული წყნარად იცინოდა.

— გალაკტიონი მაინც გალაკტიონია! — შესძახა ბატონმა გიორგიმ, — მოდი, ჩვენს დიდ პოეტს, გალაკტიონს გაუმარჯოს!

— გაუმარჯოს! — შესძახა ყველამ და ბატონი გიორგის ხათრითა და შიშით ამას ამბობდნენ ისინიც, ვინც სულ ცოტა ხნის წინ მაგიდასთან დასაჯდომად ადგილიც კი არ დაუთმო და ბერი ქედანვით ბოლოში მიავლო.

— გალაკტიონ, მოდი მე და შენ ვახტანგურად დავლიოთ! — ბატონი გიორგი წამოვიდა თავისი ჭიქით გალაკტიონისაკენ, გალაკტიონიც ასევე შეეგება და ვახტანგურად დალიეს. ამაზე ახლა ტაშისცემა ატყდა.

1959 წლის 17 მარტს თბილისი თითქოს შეაზრიალა „ლექსობინატის“ (სამთავრობო სამკურნალო დაწესებულების) ფანჯრიდან გადმომხტარი გალაკტიონის ასევე ზღერად დაწარცხების ხმა. მაშინ დეტალურად ლაპარაკს ვინ გაბედავდა. საბჭოთა „ბენდინერ“ ქვეყანაში თვითმკვლელობად დიდ კრეხელობად ითვლებოდა. ასეთ ფაქტებს არ ახმაურებდნენ, მაგრამ რაც არ დაიმალებოდა, იმას ან ფსიქიურ დაავადებით ხსნიდნენ, ან ისე, როგორც გალაკტიონის შემთხვევაში — ნასმული ყოფილა, ცუდ გუნებაზე, დასაღვეი ფული აღარა ჰქონია და ფანჯრიდან იმიტომ გადმომხტო. მოგვიანებით, „ნაკადულში“ რედაქტორად მუშაობის დროს, ჩვენი განყოფილების თანამშრომელმა, მწერალმა ელიზბარ უბილაძემ გვიამბო:

— მე მაშინ იქ ვინეტი, გალაკტიონი რომ მოიყვანეს დასაწვანად, მაგრამ ადგილი ვერსად აღმოუჩინეს. ზოგ ორკაცინ პალატაში კი ინვა თითო მთავრობის კაცი, მაგრამ იმათ პირდაპირ მოითხოვეს — ეგ ლოთი არ შემოიყვანონ აქო. ასეთი ყვირილი ერთი პალატიდან თვითონ გალაკტიონისკენ გაიგონა თურმე. გადამწყვეტს დერეფანში დაედგათ გასაშლელი სანოლი, სადაც უკვე ინვა რამდენიმე „პატარა“ კაცი. უშლიდნენ სანოლს, გალაკტიონი მიდი-მოდიოდა. დერეფნის ბოლოს, ქუჩის



მხარეს ფანჯარა იყო ღია და იქვე იდგა „ტაბურეტკა“. გალაკტიონმა ბოლომდე გამოალო ფანჯარა, წამოვიდა აქეთ, გაქანდა, როგორც კი შეეძლო გაქანდა, ერთი ფეხი „ტაბურეტკაზე“ დაჰკრა, მეორე ფანჯარაზე და თავდაყირა გადაეშვა.

21 მარტს მწერალთა კავშირიდან იყო დანიშნული გამოსვლა. ადრიანად მივედით. ზღვრა ხალხი იყო. შესასვლელთან იდგა „ბორტებ“ გადახსნილი და ხავერდ-გადაფარებული საბარგო მანქანა — კატაფალკა. ტყევა არ იყო მაჩაბლის ქუჩაზე. უბრალო ხალხს იყო უშვებდნენ შიგნით კუბოსთვის ირგვლივ შემოსავლელად. დრო რომ მოვიდა, გამოასველეს, კატაფალკაზე დაასველეს. ოთხი ახალგაზრდა პოეტი შეახტა საპატიო ყარაულისათვის. თავის მხარეს ჯანსუღ ჩარკვიანი და მორის ფოტხიშვილი დაუდგნენ, წინ ვინ იყვენენ, იმათ არ ვიცინობდი. მე ჩემი განუყრელი ფოტოაპარატი მქონდა ახალი ფორით დატენილი და დავინყე გადავლი. ამიტომ ვცდილობდი კატაფალკას ახლო მივეყოლოდი. მაჩაბლისა და ლეონიდის ქუჩების შესაყარში რომ მივედით, ბანკის ზემოთ მხარეს მდგარი შენობის სახურავიდან იების წვიმა წამოვიდა. ხუთი თუ ექვსი გოგო ბლუჯა-ბლუჯა გადმოჰყვრიდა იების კონებს. ამ გოგოთაგან ერთი თურმე ჩემი მომავალი მეუღლე ნანა კოტეტიშვილი იყო. მეორე შემდეგში ცნობილი პოეტი და მთარგმნელი თამარ ერისთავი. მათი დედები მამაშვილები იყვნენ, ბიძაშვილები. თავისი სახლის სახურავიდან სხვა გოგოებთან ერთად ასე გამოხატეს სიყვარული გალაკტიონისადმი.

პროცესის თავისუფლების მოედანზე ჩავიდა, რუსთაველს გაუყვა და მერე ბესიკის ქუჩაზე აუხვია. მთელი ამ მარშრუტის გაყოფებით უამრავი ხალხი იდგა, რომელიც გვიერთდებოდა. ნახევარზეც არ იყო კატაფალკა ასული ბესიკის ქუჩაზე, ხალხმა გააჩერა და ხელით წაასვენეს. მთანმინდისაკენ ასასვლელი ხუთგან იყო გადაკეტილი მილიციისა და ჯარის ნაწილებისაგან. ყველას არ ატარებდნენ. მხოლოდ იმათ უშვებდნენ, ვისაც მკერდზე მიბმული ჰქონდა შავ-ნითელი ბაფთებისაგან დამზადებული „სილაში ვარდის“ სიმბოლო. რაკი ზოგიერთ მწერალს ვაჟაობიდან ვახსოვდა და რაკი თვითონვე მომესალმნენ, მათ მივეუქვედლე, იმათ გამაბარეს ორი ბარიერი. მესამესთან მისვლამდე გიორგი კაჭახიძემ მოიხსნა ის სამკერდე ნიშანი და მომცა: აპა, გიგი, მე იქ ამოსვლას ვერ შევძლებო. არ ვიცოდი რითი მიმება პიჯაკზე. უცებ სამხედროების რიგიდან გამოვარდა ერთი რუსი ჯარისკაცი, „პილოტიდან“ ამოხსნა ნემს-კავი და თვალის დახამხამებაში მიმანბნა. ასე ავიარე ამაყად ის გამკაცრებული სამი რიგიც. საფლავთანაც ახლოს მოვახერხე მისვლა. სიტყვებით გამოვიდნენ გიორგი ლენინძე, გიორგი ჯიბლაძე, აკაკი ვასაძე, სერგეი სმირნოვი...

ის ფირი, მოგვიანებით, სურათებთან ერთად ჯანსუღ ჩარკვიანს გადავეცი ჩემი „შვინტლიკას“ ცისკარში გამოქვეყნების სამადლობელოდ.

ლიტერატურული გაზეთი

გამოდის საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით

რედაქტორი ირაკლი ჯავახიძე

რედაქტორის მოადგილე უჩა შერაზადიშვილი

ჟურნალისტიკა ხათუნა აღმაზრებელი, ნანა კობახიძე, თამარ ჟურული

ტელ.: 292196; მობ. ტელ.: (877)742277; (899)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com